

კავკასია

(LE CAUCASE)

დამოუკიდებელ ეროვნულ აზრის ირგანვ

L'adresse de l'administration : J. Gvaramadze, 73, rue Froidevaux, Paris (14^e)

№ 1

ივნისი 1987

№ 1


შ ი ნ ა ა რ ს ი :

ჰაიდარ ბაშმატ — მაისი 1918 მაისი 1937
 ჭ. ავალიშვილი — პოლიტიკური არაბესკები
 შ. ამირეჯიბი — მენშევიკური ნაპოლეონები
 კაფკასიალი — წმენდა აზერბეიჯანში
 ა. კანტემირ — „კავკაზ ალმანაგი“
 ბ. ბაშმატ — პოლონეთი და ს.ს.რ.ქ.-ის დამონებული ერები

ვ. ციციშვილი — კავკასიის შენობის საძირკველი
 ფარსმან - ფარუხი — ემიგრანტის დღიური
 შ. ამირეჯიბი — თავადი იოსებ დადიანი (ნეკროლოგი)
 ი. გვარამაძე — სერგო მაისურაძე (ნეკროლოგი)
 ქრონიკა

მაისი 1918 წლის მაისის დღეებს კიდევ ერთი წლით ვშორდებით იმ დროს, როდესაც ომის ჭექა - ქუხილში და რევოლუციის მღელვარებაში, კავკასიის ერების სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღმოცენდა. ვსოდათ, რომ ხანმოკლე იყო ჩვენი სიხარული, ვაღიაროთ, რომ ისტორიული ბედის სურვილით და ჩვენ მიერ ჩადენილი შეცდომებით, კავკასია ერთხელ კიდევ ჩავარდა რუსეთის სულის შემხუთავ საპყრობილები.

მაგრამ შეუპოვარ ისტორიის მსვლელობას ვერავინ შეაჩერებს..
 ქვეყანაზე არ არსებობს ძალა, რომელიც შესძლებს ჩვენი ერების სულის ჩაკვლას, ან მათ დამოუკიდებლობის შეუპოვარ სურვილის დადუნებას. ახალ ორომტრიალში, რომლისაგანაც ქვეყნიერება დაზღვეული არ არის და რომელსაც რუსეთის დამონებული ერები მომავლის სრული ჩრდილი უცდიან, კავკასია ახლად მოიპოვებს დაკარგულ თავისუფლებას...
 ჩვენი რესპუბლიკების დამოუკიდებლობის გა-



მოცხადების ცხრამეტი წლის თავს, ჩვენ ძველ სადარაჯოზე ვეგებებით და გუშაგებს ნაციონალური იდეების დროშები მაგრად უჭირავთ.

მთელ კავკასიასთან ერთად, რომელიც მოსკოვის რკინის ქუსლის ქვეშ გმინავს, მაგრამ რომელიც არ არის დამარცხებული, ჩვენ მუხლს ვიდრეკთ ჩვენი გმირების წმინდა ხსენების, ბრძოლის ველზედ დაღუპულების, ჩეკის სარდაფებში დახვრეტილების, სოლოვკის ყინულიან ტუნდრებში და თურქესტან - ციმბირის უწყლო უდაბნოებში წამებულების წინაშე, რომლებიც, ნამუსისათვის და სამშობლოს თავისუფლებისათვის, უთანასწორო ბრძოლას აწარმოებდნენ. ჩვენ მრავალ მილიონიან მოძმეთა სახელით, რომლების გულისცემა ჩვენს გულს უერთდება და რომლებთანაც ჩვენ, დიდი ხნის გადმოხვეწილობაში, ერთი წუთითაც სულიერი კავშირი არ შეგვიწყვეტია, დღეს, უფრო დიდი გაბედულებით ვამბობთ, რომ კავკასიის ბრძოლა მოსკოვის წინააღმდეგ გრძელდება, რომ ეს ბრძოლა არ შეჩერდება, ვიდრე ჩვენი ტერიტორია უკანასკნელი რუსის ოკუპანტისაგან არ გაიწმინდება, ვიდრე კავკასიის ხალხი, უცხოელების ულლიდან განთავისუფლებული, დამოუკიდებელდა მთლიან კავკასიის სახელმწიფოს მეგობრულოვანები არ გაერთიანდება. არ არსებობს ძალა, რომელსაც შეეძლოს ჩვენი შეჩერება, არ არის მსხვერპლი, რომლის გალებაც ჩვენ არ შეგვეძლოს სამართლიანი საქმის გასამარჯვებლად.

X

თვითეული განვლილი წელი, თვითეული წარსული თვე ჩვენს მიზანს გვაახლოვებს. პოლიტიკური ცვლილებანი, რომლებიც ამ უკანასკნელ წლებში ხდებიან და რომლის საქმიანობა ევროპაში და შორიეულ აღმოსავლეთში გრძელდება, ყოველივე ეჭვებს ფანტავს. ესპანეთის სამოქალაქო ომს, რომელიც შექმნილია მოსკოვის მიერ და რომელსაც იგივე მოსკოვი ჰქვებავს, კრემლის ფიქრით, დასავლეთ ევროპაში სამხედრო გართულებანი უნდა გამოეწვია. მოსკოვის

მუდმივი ოცნება იყო ნემეზიდის ლახური, საბჭოებისადმი მოქნეული, საფრანგეთს მოხვედროდა და გერმანიასთან ომში ჩაება. დღეს ეს გეგმა სამუდამოდ დამარცხებულია, ორთავე სოციალისტურ ინტერნაციონალებისა და ყველა ეროვნების იარაღ - შესხმული პაციფისტების დიდი დახმარების მიუხედვად. როგორი რაღიკალურიც არ უნდა იყოს თავის სოციალურ პოლიტიკაში ლეონ ბლუმის მთავრობა, ცხოვრებამ დაგვანახვა, რომ საერთაშორისო საკითხებში, რომლებიც მილიონ ფრანგების სიკვდილ - სიცოცხლეს და საფრანგეთს ეხებიან, როგორც ბუმბერაზ სახელმწიფოს, არსებობს ისეთი მიჯნა, რომლის გადალახვასაც ვერ გაბედავს ვერც ერთი მთავრობაში მყოფი ფრანგის სოციალისტი, რა ორტოდოქსალურიც არ უნდა იყოს იმისი მარქსიზმი და რა ინტერნაციონალურიც არ უნდა იყვნენ მისი მოსაზრებანი.

საბჭოთა პრესის წერილები, საფრანგეთ - საბჭოთა პაქტის ორი წლის შესრულების გამო დაწერილი, რომლებშიაც ნაწყენობის კილო ახალი შანტაჟის უბადრუკ ცდასთან ასე ჯადოსნურად არის გადაწყვლი — ამისი საუკეთესო საბუთია. მოსკოვის საჩივრებმა ეფექტი ვერ მოაძინეს. ლიტვინოვი პარიზიდან კუდ - ამოძუებული წაბრძანდა. საფრანგეთ - საბჭოთა პაქტისათვის სამხედრო კონვენციის დამატებაზედ ბ. დელბოსმა უარი განუცხადა და ხელი არ მოუწერა.

ევროპის საბედნიეროდ, საფრანგეთის საგარეო პოლიტიკა უფრო და უფრო ინგლისის პოლიტიკას უერთდება.

შეიძლება გაბედულად დავადასტუროთ, რომ არავითარ ევროპის ომში საფრანგეთი არ ჩაებმება, თუ ის ინგლისის კავშირით არ იქნება უზრუნველყოფილი.

რაც შეეხება ინგლისს, როგორც არ უნდა მიუღეთ ამ ბუმბერაზ სახელმწიფოს, მაინც არავითარი საბუთი არა გვაქვს ცილი დავსწამოთ მას, რომ სწორედ ის დაანთებს ცეცხლს, რათა სტალინმა მოსკოვში დიქტატურა შეინარჩუნოს.

მართალია, დემოკრატიული ქვეყნების დიდი პრესა კიდევ განაგრძობს ჩვეულებისამებრ „კოლექტიური უშიშროების“ და „განუყოფელი ზავის“ ცოხნას. მაგრამ ორ - მხრივ ხელშეკრულებათა სერიის შემდეგ, რომელიც ერთი მხრით გერმანია — პოლონეთს და ანგლო — გერმანიის საზღვაო შეთანხმებას შეიცავს, მეორე მხრით — სერბო — ბოლგარულ და იტალო — სერბულ ხელშეკრულებას, არა გვგონია ამ მკვდარი ფორმულებისა თვით მათ ავტორებს სჯეროდეთ.

ერთა ლიგის ეგიდით ევროპის კოლექტიურად მოწყობის დროება თუ სამუდამოდ არ წავიდა, დიდი ხნით მაინც შეფერხდა.

ამ სისტემას, რომელიც სცდილობდა განემტკიცებინა ის საოცარი უთანასწორობა, რომელიც შეიქმნა მსოფლიოში დიდი ომისა და კომუნიზმის გამარჯვების შემდეგ, ცხოვრებამ სასიკვდილო ლახვარი ჩასცა..

მას უნდა ერთი მეორეზედ გასცლოდა ის ზოგი დიდი სახელმწიფოც, რომლებმაც თვით შეკვენეს იგი. ამ მხრივ დიდათ დამახასიათებელია ინგლისის მმართველ წრეების ევოლუცია.

მიუხედავად მის მიერვე შექმნილ „ერთა ლიგის მისტიკისა“, ინგლისის საზოგადოებრივ აზრის ფართო წრეებში, ლონდონის მთავრობა შეუძლო აღმოჩნდა, რომ უენევის საერთაშორისო ორგანიზმისათვის და იმ გეგმებისათვის, რომელიც მას ევროპის მოსაწყობად ჰქონდა, იმპერიის რაიმე რეალური დახმარება აღმოეჩინა.

შეიქმნა გარემოება, რომლის დროს ყველასათვის თვალსაჩინო გახდა, რომ აუცილებლობის დროს, პაქტებისა და კავშირების გარეშე, ინგლისი ისედაც დაეხმარება ბელგიას, პოლანდიას და საფრანგეთს, რომ ასეთ დროს ინგლისი უზრუნველყოფილი იქნება დომინიონების და ოკეანეს - იქითა სამთლობელოების დახმარებითაც, რადგან ამ ქვეყანათა დაცვით, რომელთაგანაც შეერთებულ სამეფოს მხოლოდ წყლის ვიწრო ზოლი ჰყოფს, ფაქტიურად ინგლისი თავის თავს იცავს, ანუ ბრიტანეთის იმპერიის გულს.

მაგრამ კაცი ბრმა უნდა იყოს ვერ დაინახოს,

რომ არც ერთ კომბინაციაში, რომელიც ბრიტანეთის კუნძულების ინტერესებს უშუალოდ არ ეხება ან რომელიც, მაგალითად, ეხება სტატუს ქვის გარანტიას ავსტრიაში ან ჩეხო - სლოვაკიაში, დონაუს ბასეინში ან აღმოსავლეთ ევროპაში, ლონდონის მთავრობა არ შევა.

ის თავს არ გაჰყოფს ასეთ კომბინაციებში, კიდევაც რომ გულწრფელად სურდეს, რადგან, თქმა არ უნდა, რომ მეტროპოლიის ასეთ პოლიტიკას მხარს ვერ დაუჭერენ ბრიტანეთის კომმონველტის ზღვის იქითა წევრები.

ამ აზრის დასაბუთებას ჩვენ ვპოულობთ იმ ცნობაში, რომელიც ეს არი ეხლა, 2 მაისს ლონდონში შემდგარ საიმპერიო კონფერენციის სხდომის შესახებ, ტელეგრაფმა მოიტანა.

ამ კრებაზედ, როგორც „დეილი ექსპრესი“ იტყობინება, მეტროპოლიის საგარეო პოლიტიკა, კერძოდ მისი პოლიტიკა ერთა ლიგაში, დომინიონთა წარმომადგენლების სასტიკ კრიტიკის საბაბი შეიქმნა. დომინიონთა პრემიერებმა ერთ-სულოვნად განაცხადეს, რომ ერთა ლიგას ძირითადი რეფორმები სჭირია და მოითხოვეს კოვენანტის მუხლების გაუქმება, რომლებიც საერთაშორისო სანქციებს ეხებიან...

ამას გარდა დომინიონებმა მოსთხოვეს მეტროპოლიას, რაც შეიძლება მეტი იზოლიაცია კონტინენტისაგან და უარის თქმა ყველანაირ ვალდებულების აღებაზედ ევროპის სახელმწიფოთა წინაშე, თუ იგი საკუთარ თავდაცვის მოთხოვნილებით არ არის გამოწვეული...

ასეთი ვითარების წინაშე ინგლისსა და საფრანგეთში, მოსკოვს ფრიად ცოტა შანსი ლა შერჩება, რომ საერთაშორისო ევროპიული ცეცხლი დაანთოს და ძლიერი სამხედრო კოალიცია შეჰქმნას, რომელიც მას მხარს დაუჭერდა, როცა დადგება განკითხვის წუთი და ის იძულებული იქნება პასუხი აგოს იმ დიდ ავაზაკობის გამო, რომელიც მას კაცობრიობისა და რუსეთის მიერ დამონებულ ერების წინაშე მიუძლვის.

X

საჭიროა განა ითქვას ამ უურნალის ფურცელის



ლებზედ, რომელიც ნიღაბის ტარებას ჩვეული არ არის, რომ მთელი ჩვენი სიმპატიები იმ დიდ და პატარა სახელმწიფოებისაკენ იხრება რომლებმაც თავის დროშაზედ კომუნიზმის მსოფლიო სიბოროტესთან და ჩვენი სამშობლოს დამლუპველ მოსკოვის სატანურ ძალასთან ბრძოლა დასწერეს.

მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა, აქედან დასკვნა ვინმემ გამოიყვანოს, რომ ჩვენ ხელ - აღებით ვლებულობთ იმ სახელმწიფოთა პოლიტიკურ იდეოლოგიას, რომლებიც დღეს კომინტერნთან და მის ციხე - სიმაგრე მოსკოვთან აშკარა ბრძოლას აწარმოებენ.

ევროპის და აზიის დიდ კულტურების ჯვარედინზედ, ვიწრო ყელზედ, რომელიც ორ ისტორიულ კონტინენტს აერთებს, სადაც ერთ მეგობრულ ოჯახში არეულია სხვა და სხვა რასის, კულტურის და სარწმუნოების ერი, ჩვენ არ შეგვიძლიან და არცა გვსურს რომელიმე ერთი რასის, ერთი სარწმუნოების და ერთი ენის პირველობა განვამტკიცოთ... ჩვენი სურვილია, ჩვენი სახელმწიფო ავაშენოთ პოლიტიკური ძმობის ვამაერთიანებელ სულზედ, ღრმა რწმენით, რომ არა მარტო ერი ჰქმნის სახელმწიფოს, არამედ სახელმწიფოსაც შეუძლიან შეჰქმნას ერი.

მუსოლინთან ერთად, ჩვენა ვფიქრობთ, რომ „ერი უპირველეს ყოვლისა სულია და არა მარტო ტერიტორია“, მაგრამ ათასის ძაფებით მშობელ მიწასთან გადაწყვლებს, რომელიც ჩვენ მამა - პაპათა წმიდა სისხლით არის გაპოხიერებული, ჩვენ გვინდა ზნეობრივი ჩვენი ლირებულებანი იმ თაობათა მრავალ საუკუნოვან გამოცდილებათაგან ვზიდოთ, რომლებიც ჩვენზედ უწინ სცხოვრობდნენ და რომლებმაც ჩვენი ერების კულტურისა, ყოფისა და ტრადიციების მოგაჯადოვებელი თავისებურება შეჰქმნეს.

როგორც ჩვენი ფილოსოფიური იდეალებითა რეთვე ჩვენ სახელმწიფო დაწესებულებათა სტრუქტურა, ჩვენა გვსურს ჩვენ ათასწლოვან ისტორიის მტკიცე საფუძველზედ ავაგოთ, კულტურისა და ტომობრივობის იმ ტრადიციულ გადაწწნულობაზედ, რომლითაც ჩვენი ერები ათასწლობით სცხოვრობდნენ კავკასიის ტერიტორიაზედ.

აი, ამიტომ არის, როგორც არა ერთხელ გვქონია შემთხვევა გვეწერა ამ ფურცლებზედ, რომ კავკასიის კონფედერაცია ჩვენ წარმოდგენილი გვაქვს არა როგორც გეოგრაფიულად, ეკონომიკურად და სტრატეგიულად განუყოფელ ნაწილების ერთი მეორეზედ მექანიკური დალაგება, არამედ როგორც ჰარმონიული გაერთიანება სულიერად მონათესავე ეტნიურ ჯგუფებისა, რომ ეროვნული მარაგისა და გენის თავისუფალ გამოჩინების გზებზედ, კავკასიას შეეძლოს მომავალში უფრო მაღალი და უფრო მშვენიერი სინტეტიური კულტურის მოცემა.

თანაუგრძნობთ რა მხურვალეთ მათ, ვინც ეროვნულ ალორძინების გზებზედ ახალ სოციალურ სამართლიანობასაც ეძებს და უარპყოფს მხეცურ კლასობრივ ბრძოლას, ჩვენ დაუშრეტელის ყურადღებით შევსცერით ყოველნაირ ახალ პოლიტიკურ და ეკონომიკურ შემოქმედებას მსოფლიოში.

ჩენი ამოცანა არის, რომ ამ მიგნებათა პოზიტივურ შედეგები ჩვენი ერების საუკუნოვან ტრადიციებს გადავაბათ და ქვეყნისათვის დაუსჯელად და ძალდაუტანებლად დაუქვემდებაროთ იგი გაერთიანებულ კავკასიის უმაღლეს ინტერესებს.

ჰაიდარ ბაშატ

პოლიტიკური არაბესები

სიადვილე, რომლითაც რთული პოლიტიკური საკითხები ქაღალდზედ სწყდებიან, მხოლოდ მოჩვენებითი სიადვილეა. თქმა არ უნდა, რომ ყველაზედ გამძლე ქაღალდიც კი უფრო ნაკლებ წინააღმდეგობას უწევს კალამს, ვიდრე ნამდვილი ცხოვრება კანონმდებელთა პრეტენზიებს ან პოლიტიკოსის მისწრაფებას. დაწერილს კიდევ შეებმის კაცი (პრესის თავისუფლების პირობებში), მაგრამ მტკიცედ ნაკარნახევს უსიტყვოდ უნდა დაემორჩილო (პირობებში დესპოტიზმისა) ან და პასივურად მაინც წინააღმდეგე, თუ რევოლუციონურად არა (ეს სულ სხვა გზა არის, არა მარტო სახითათო, არამედ საზოგადოთაც მხოლოდ მცირეთათვის მისაწვდომი).

დაწერილთან შებმა, ე. ი. ზოგიერთ საკითხების ეტრატულად გადაჭრის კრიტიკა, ვთქვათ, პროგრამებში, მით უფრო აღვილია, რომ, არა იშვიათად, თვით ავტორები სტენენ თავიანთ თხზულებებს ისეთის შინაარსით, რომ მარტო ამით არის შესაძლებელი ამ გადაწყვეტილებათა შიგნიდვანვე აფეთქება.

რა სიადვილით იყო, მაგალითად, გაზიარებული კავკასიურ ემიგრაციის მიერ, პოლიტიკური იქნება იგი, თუ ჩვეულებრივი, ისეთი დიდ - მნიშვნელოვანი ლოზუნგი, როგორც კავკასიის პოლიტიკური მთლიანობა და კავკასიის კონფერაციაა. ამ ნიადაგზე საქმე იქამდის მივიღა, რომ, კავკასიის ერთა სახელით, პაქტებიც კი შეითხა, რამაც მედგარი წინააღმდეგობა გამოიწვია, არა არსებითად, არამედ მხოლოდ იმ გარემოების გამო, რომლებშიაც მათ ხელი მოაწერეს. არსებითად კი, პირიქით, „კონფერაცია“ და იმის თანამავალი არბიტრაჟი — სადაცოტერიტორიალურ საკითხების სტერეოტიპიული „გადაჭრა“, კავკასიის ემიგრანტულ წრეების პოლიტიკურ ლექსიკონში მტკიცედ შევიდა და ეს კიდევაც უნდა გვახარებდეს.

მაგრამ კონფერაციის იდეის ასეთი მომხე-

ობა რამესაც უნდა გვავალებდეს, თუნდა მხოლოდ სიტყვით და თუნდა მხოლოდ ქაღალდზედაც. უნდა გვავალებდეს უეჭველია, თუ, უწინარეს ყოვლისა, მისი დანიშნულება ის არის, რომ ცალკეული ეროვნული პროგრამები კავკასიის კონფერატიულად მოწყობის გეგმასთან შეათანხმოს. მაგრამ განა ამ შეთანხმებას ყოველთვის ვხედავთ? არას გზით. ამის მაგალითი ბევრია. დავასახელოთ ერთი. ამას წინად, ქართველ 1)

1) ინტეგრალ ნაციონალისტების ფრიად სიმპატიურმა ჯგუფმა, (იგივე „ფაშისტებმა“. ხოლო უკანასკნელ დროს მონარქისტ - რესტავრატორებმაც) გამოაქვეყნეს პროგრამა, რომელშიაც საყურადღებო და ფაშიზმისაგან და მონარქიზმისაგან დაშორებული ბევრი რამ მოიპოვება. აქ, სხვათა შორის, განცხადებულია, რომ — საქართველო და კავკასია განუყოფელია (სიტყვა - სიტყვით: „ერთი მთლიანია“) კავკასიის ერთა მჭიდრო კავშირი აუცილებელია“. (ამათში მეორე დებულება პირველს ასუსტებს. უმჭიდროესი კავშირიც კი მაინც ის არ არის, რაც განუყოფლობა მაგრამ ეს სხვათა შორის). ამასთანავე პროგრამის აზრით საქართველო უნდა აღსდგეს თავის ყოფილ ისტორიულ საზღვრებში — მაგალითად თამარის დროისა. დაკარგული ტერიტორიები, რომლებიც დღეს მეზობლებს ეკუთვნით, უკან უნდა დაუბრუნდეს, ე. ი. საჭიროა საქართველო ამას შეეცადოს და სხვ.

თუმცა ამ სიტყვებში მკაფიო და ბოლომდე თქმული არაფერია, მაგრამ კავკასიის განუყოფლობის და მის ერთა მეგობრობის იდეასთან მა-

1) თავში ეს იყო კართველ პატრიოტთა თითქოს მებრძოლი რაზმი წმ. გიორგის დროშით. პატრიოტიზმის ინტეგრალობამ ხელი არ შეუშალა ამ ჯგუფს დანაწილებულიყვნენ კიდევ ჯგუფებად. სახეში გვყავს მხოლოდ ერთი მათგანი.

თი შეუთავსებლობა ნათელია. მაგრამ ნათელია აგრეთვე სხვა რამეც: შეუძლებელია თვალი დაფსუჭოთ საკითხების იმ სიძნელეზდ, რომლის იოლ გადაჭრას ბევრი მხოლოდ ცარიელ „კონფედერაციაში“ და „სავალდებულო არბიტრაჟში“ ხდავს.

მაგრამ როგორ მოვიქცეთ იმნაირ შემთხევის დროს, როცა ცალკე „სადავო“ საკითხი ორივე მხარეს უდავოდ მიაჩნია?

ყბადაღებული ახალქალაქის მაზრა, საქართველოს ეს ნაწილი, რომლის გამო სომხურ ემიგრანტულ პრესის გაოგნებული მოთქმა „კავკაზმაც“ გადმობეჭდა, მრავალი სომხის თვალსაზრისით სადავო არ არის და პირიქით, უდავო სომხური ტერიტორია ყოფილა. რატომ? იმიტომ, რომ მოსახლეობა იქ სომხურია. ქართველებს კი ჰავანიათ, რომ მიწა მაინც ქართულია და სომხობა იქ შეუშვეს მხოლოდ ასი თუ ცოტა მეტი წლის წინად, ისიც მას შემდეგ, რაც იქიდან წავიდნენ, ე. ი. იძულებული იყვნენ წასულიყვნენ ქართველი მაჰმადიანები; რომ ჯერ კიდევ 1783 წელს რუსეთმა ვალად იდო ეს სამფლობელო საქართველოსათვის დაებრუნებინა, როგორც სხვაც, თუ კი რუსეთი მას ასმალეთს ჩამოართმევდა (რაიცა კიდევაც მოხდა 1828 წ.) და სხვ.

საჭირო არ არის ამ უთანხმოებას წვრილად შევეხოთ. ქართველებსა და სომხებს შორის ის ერთად ერთიც არ არის და სწორედ ამისთანა უთანხმოებამ გამოიწვია მათ შორის 1918 წლის შეიარაღებული შეტაკება ბორჩალოს მაზრის სამხრეთ ნაწილის გამო. ამ შეტაკებას სომებს - ქართველთა ომის სახელიც კი უწოდეს. ყოველს შემთხვევაში, ამბავი ფრიად სავალალოა, თუმცა, ამავე დროს, ორ მეზობელ ხალხის ეროვნულ მისწრაფებათა მაჩვენებელიც. უცნაურიც რომ იყვეს, მაინც შეუძლებელია, რომ ტერიტორიისათვის ჩეუბის ამ უნარში და მისწრაფებაში არ დავინახოთ მოჩეუბართა ცალკეულ სახელმწიფო არსებობისათვის ლტოლვის ერთნაირი სიმწიფის ნიშანი: მეზობელი ადმინისტრატიული ერთეულები სამზღვრისათვის ომს არ დაიწყებდნენ.

უფრო სამწუხაროა მოგონებანში და უფრო ლრმა არიან უთანხმოებანი „სადავო ტერიტორიალურ საკითხების“ გამო, რომლებიც სომხებსა და აზერბაიჯანლებს ჰყოფენ. მაგრამ ამ დავის სიმძაფრე აქ კიდევ უფრო დაუნდობელ სომებს - თურქული ბრძოლით იყო გართულებული.

ამ დავებმა გაუადვილეს საბჭოთა ხელისუფლებას საქმე, რომ კავკასიის ქედის გადმომადაბინავებულიყო. ეს ყველას ასსოვს, როგორც აგრეთვე ისიც, რომ რუსული ძალებით ჩრდილო კავკასიის დაჭერა, ასეთ გარემოებაში, თავისთავად, სამხრეთის დამოუკიდებელ რესპუბლიკათა დაცემასაც ნიშნავდა. მაგრამ როგორ დიდია აზრის შეუთანხმებლობა ეხლაც კი, ასეთი გაკვეთილის შემდეგ და რამდენია გაუგებრობა, თუ გინდა წერაშიაც.

ამ დამოუკიდებელ რესპუბლიკათა სწრაფი გაქრობის მიზეზის მწარე ძიებაში, რომლებიც 1918 წელს აღმოცენდნენ, სხვა და სხვა სახელის კავკასიელები იმ დასკვნამდე მივიღნენ, თითქმის ერთხმად, რომ მათი ბედი სხვანაირად წარიმართებოდა, მათ რომ თავის დროზედ (ესე იგი პირველშივე, თორემ დრო საერთოდ ცოტა ჰქონდათ) ერთმანეთთან „მჭიდრო კავშირი“ დაედოთ და ოთხი განაყოფის ნაცვლად კავკასია ერთი მთლიანი ყოფილიყო და სხვა — რის შესახებაც, ეს უნდა ვალიაროთ, განსაკუთრებით, ჩრდილო კავკასიის მოლვაწენი ლალაღებდნენ. ამასთანავე, რა თქმა უნდა, ავიწყდებათ ისიც, რომ სომხეთის ყურადღება მაშინ ასმალეთის საბოლოო დაშლის აზარტულ პოლიტიკაში იყო ჩაბმული. ასეთ პირობებში, ლაპარაკი მის მჭიდრო კავშირზე საქართველოსთან და მით უმეტეს ადერბეიჯანთან ან ჩრდილო კავკასიასთან წარმოუდგენელი იყო. მეორე მხრით, 1918 — 1920 წლების რევოლუციონური ვითარება, განმარტავს (და არა ამართლებს) იმ განმარტოებასაც, რომელშიაც მოექცნენ ჩრდილო კავკასიის მთიელები, დენიკინის — არა მარტო მათთვის — საბედისწერო სამხედრო მოქმედების წინაშე. ერთი სიტყვით, საერთო კავკასიური პოლი-




ტიკა მაშინ არ არსებობდა, თუმცა მისი საჭიროება განყენებულად ყველას მიერ იყო ცნობილი. კავკასიის ერებმა თავი ვერ აართვეს სრულიად მოულოდნელად ნაკისრ ამოცანას, რათა რევოლუციისა და ომის წიაღში — ომებისაც კი — თავისი რესპუბლიკები მოეწყოთ და „დამოუკიდებელ“ არსებობის სიძნელე გადაელახათ. შეთანხმებულ კავკასიურ პოლიტიკისათვის ძალები არ ეყოთ.

მაგრამ საქმე არც მარტო ძალებშია; მათი ნამდვილი ვარაუდიც ხომ მუდამ ძნელი რამ არის; მთავარია ის, რომ კავკასიაში ადგილი ჰქონდა ცალკეულ, თანაც არა ერთნაირ ეროვნულ მოძრაობას, რომელსაც ძირი ჰქონდა როგორც ისტორიულ გადმოცემაში, აგრეთვე თვით შეგნებაში და ამ სხვა და სხვა ერთა ცოცხალ მოთხოვნილებაში. რუსეთის სახელმწიფო წყობილებამ ამ მისწრაფებებს ვერც ჩარჩოები მისცა, ვერც სკოლა, ვერც ერთმანეთთან შეთანხმების საშუალებანი. ამ წყობილების დანგრევასთან ერთად

ამ მისწრაფებათა გამულავნებას უსტიქიოდ არ ჩაუვლია, არც მათი გამოთქმის გარეგან მხარეს ჰქონდებია შემთხვევითი ხასიათი. გაჩნდენ მთავრობანი, პარლამენტები, ფინანსები, საზღვრები; ყოველივე ეს ერთმანეთზედ თათარიახნად ელაგა, ხშირად წალმა - უკულმა და მათი მყვირალა სახელები სინამდვილეს არ შეეფერებოდა. ასეთ აუცილებელ ნაკლის მიუხედავად, კავკასიის რესპუბლიკები მაინც ცხოველმყოფელი მოვლენები გამოდგნენ: მათ არსებობისათვის ანგარიში უნდა გაეწიათ ბოლშევიკებსაც, ე. ი. სწორედ ეროვნულად მოარსებე ცალკე რესპუბლიკებისათვის და არა კავკასიისათვის, როგორც პოლიტიკური ერთობისათვის — რომელიც არც არსებობდა, რადგანაც კავკასიურმა რესპუბლიკებმა საერთოდ კავკასიური ფრონტის გაშლა ვერ მოასწრეს. მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ მთლიანი კავკასიის იდეა სწორედ ამ დამოუკიდებელ რესპუბლიკების საფლავიდან აღმოცენდა, მის ერთა ცხოვრების რთულ გამოცდილებიდგან, ჯერ რევოლუციის წინანდელ, მერე — დამოუ-

კიდებელ, დასასრულ საბჭოებისაგან დაბყრობის დროთაგან.

ამ იდეამ, როგორც უკვე ზემოდ იყო აღნიშნული, კავკასიურ პოლიტიკურ ემიგრაციის შეგნებაში, მაგარი ძირი გაიდგა. მაგრამ მასთან ასე აღვილად მისვლამ და მოჩვენებითმა სიმარტივემ არ უნდა მოგვატყუოს. იმაზედ ძნელი არათერია, როგორც ეს „მარტივი“ გადაწყვეტილებანი. „მთლიანობა“ იქ, სადაც განსხვავებანი ასე დიდია, ძნელი მისაღწევია. ამას ვერ ახარხებენ და დიდი სიძნელენი არიან გადასალახავნი იქაც კი, სადაც საქმე ეხება არა მარტო მონათესავე ერების, არამედ ხშირად ერთი ერის მაგრამ სხვა და სხვანაირად წარმართულ ნაწილების გაერთიანებას (ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია!). ბალკანეთზედ და ბალტიკაზედ ხომ ლაპარაკი მეტია. განსაკუთრებულ სახელმწიფო „გაერთიანებას“ იქ ვერცა ვხედავთ. ბალტიის რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის საკითხი გადაწყდა ისე, რომ საჭირო არ იყო ისეთი ზომისათვის მიემართნათ, როგორც არის ერთ სახელმწიფოში გაერთიანება კავკასიის რესპუბლიკებმა კი თავისი დამოუკიდებლობა ვერ შეინარჩუნეს. პოლიტიკურმა, სამხედრო და სამეურნეო განცალკევებამ რომ მათ ფრიად დიდი ვნება მოუტანა, ვიმეორებთ, ეს საეჭვო არავისთვის აღარ არის, მაგრამ წარსულის ამ გამოცდილების დასკვნა, მიღებული კავკასიის გარეშე მყოფ ყოფილ დამოუკიდებელ რესპუბლიკათა პოლიტიკურ მოლვაწეთა მიერ, იყო არა მაინც, ეტყობა, ცალკე რესპუბლიკების სახელმწიფო არსებობაზედ ხელის აღება (მთლიანი კავკასიის სასარგებლოვა), ამას იცავდნენ აქაც მთიელთა წარმომადგენლები, არამედ ყველა ამ რესპუბლიკების განმტკიცების სურვილი მომავალში, სახელმობრ, მათი თავდაცვის უნარიანობის გაძლიერება გარეშე საფრთხის წინაშე და საზოგადოთ მათი უკეთეს პირობებში ჩაყენება, გაერთიანებულად ერთ მთელში (ფედერატიულად), ზოგის აზრით, ხოლო დამოუკიდებელ, თანასწორ სახელმწიფოთა მჭიდრო კავშირის სახით — სხვების მიხედვით.



ამრიგად „კავკასია“ წარმოებული, დამატებითი, მაშველი ნაშენობა არის; პირველი, საფუძვლიანი და მთავარი საქმე კი უნდა იყოს ეროვნულ სახელმწიფოთა განმტკიცება — ადერბეიუნის, სომხეთის, მთიელთა კავშირის და საქართველოს ტერიტორიაზე. რა სახეც არ უნდა მიიღოს მათმა გაერთიანებამ, მისი დანიშნულება ის არის, რომ უმჯობესად დაიცვას კავკასიის ყოველი ცალკე ერი და ამასთანავე დაიფაროს იგი ურთიერთ შეხლისა და არეულობისაგან. ამ მიზნით კავკასიის ერები უკან არ დაიხევენ, ალბად, რომ განსაზღვრულ ჩარჩოებში საერთო კავკასიურ სახელმწიფოებრივობის დისკიპლინასაც დაექვემდებარონ.

ასეთი რიგის საკითხები, რა თქმა უნდა, დღეს დღეობით, გადაჭრილ გადაწყვეტილებას არა საჭროებენ, თუნდაც იმიტომაც, რომ დღეს გადაჭრელი და გადასაჭრელი არაფერია.

სჯა და ბაასი ჩვენთვის ხელმისაწვდომ განზრახვების ფარდებში, წარსულის შეფასება და მისი დასკვნანი, რა თქმა უნდა, მეტი არ არის, მაგრამ საჭიროა და ყველასათვის სავალდებულოც, ვინც ამ საჩიტორო საკითხებს ევროპაში ეხება, რომ ცალკე წამოწეულ პროგრამებში შეთანხმება სუფევდეს; საჭიროა, რომ გადასულ ეპოქის სამზღვრების ალდგენაზე არსებითად უმანკო, ან ამ გაუმაძლარ და უმოწყალო მეზობლების მიერ მიყენებულ სიმწარეზე დაპარაკით გონებას არა რევლენ, თან არც კი გვეუბნებოდნენ, თუ ან ეს სამზღვრები სად არიან, ან ეს მიყენებული სიმწარენი რაში გამოიხატებიან (ნუ დავივიწყებთ, რომ არსებით საკითხების გამო, მეტ - წილად, მოკამათეთა შორის, უთანხმოება არ არსებობს). მეორე მხრით, განა ზედმეტად ხშირი არ არის ისეთ „მოძმე ერების“ ხსენება, რომლებიც ისტორიულად და მანძილითაც ასე საფუძვლიანად შორს არიან?

რა თქმა უნდა, კავკასიურ ემიგრაციის ზოგნაწილებში სასარგებლოა ეროვნულ გრძნობათა და სულისკვეთებათა ხელის შეწყობა, გალვივება და დანერგვაც კი. მაგრამ რადგანაც ერი რამ-

დენიმეა — ეს ხდება სხვადასხვანაირად. გამოისის სხვა და სხვა ხმა, კავაფონია რომ არა ვსთქვათ. არც ეს არის დიდი უბედურობა, რომ ამას ადგილი არა ჰქონდეს იმ მაღლებში, რომლებიც თავისთავს ხელმძღვანელებს უწოდებენ რომლებიც ხანდახან საერთაშორისო დიპლომატიის „უკანა კარებზიაც“ არიან ხოლმე ატუზულნი. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ „უკანა კარებიდან“ „დერეფანამდე“ ხანდახან მხოლოდ ერთი ნაბიჯია; ხოლო აქედან „კაბინეტამდის“ არც ისე შორს არის,. „საერთო კავკასიური“ გრიმი დღეს სავალდებულოდ არის ცნობილი, და ამ „უკანა კარბში“, სხვა უფრო პასუხსაგებ სიარულზე და რომ არაფერი ვსთქვათ მომავალში, უამგრიმოდ თავს ვერავინ შეჰქოთს. ამას ამბობენ ჩვენიანები, რომელთაც ეს საქმეები იციან და გამოცდილი უცხოელებიც, ვინც ჩვენი კეთილის მყოფელია, (აქ ჩვენ სურვილისა და მაცხონებელი ნუგეშის მეტი არაფერი დაგვრჩენია). მაგრამ გრიმი ავალდებულებს ადამიანს, რომ როლიც იცოდეს. სასაცილო იქნება, რომ საქმე რომ საქმეზე მიღეს სუფლიორმა ითამაშოს მსახიობის მაგივრად!

კარგს იზავდნენ კავკასიელი მოლვაწენი, რომლებიც ევროპაში მოლვაწეობენ, რომ იმ იმედით, რომ მათი სამსახური მათ ხალხებს კიდევ გამოადგებათ, თავიანთ პროგრამების საერთო კავკასიურ ნაწილს თავდარიგში მოიყვანდნენ და ზედ - მეტ მყვირალა კილოს და წინააღმდეგობას იქიდან განდევნიდნენ. არავითარი საბუთი არ არსებობს იმისი, რომ საერთო კავკასიურ სახელმწიფო მოწყობის გეგმის შემუშავებას ისინი ეხლავე უნდა შეუდგნენ. მაგრამ ცუდი არ იქნებოდა, მაგალითად, რომ სადაც ტერიტორიების საკითხის სიის შედგენაზე მაინც ამთავითვე იზრუნვონ, რის შესახებაც ამდენი ლაპარაკია და რომლის გადაჭრას მოფიქრებული ცდა სჭირია. „ტერიტორიალური“ ცრუმორწმუნოება მაგრადა ზის ადამიანის გონებაში. ჩვეულებრივ, ამ საკითხს დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას აწერენ. მართალია, მათი გადაჭრა ან თუნდა უბრალო გაშუქებაც

ამ შემთხვევაში, ისევე ეტრული და აკადემიური იქნებოდა, მაგრამ რაკი ამაზედ ლაპარაკი უკვე ჩამოვარდა, უმჯობესია ვილაპრაკოთ დასკვნამდის და რაიმე გადაწყვეტილებამდის. ეს არ

იქნებოდა მოკლებული ჭირუის სწავლასთა შესა-
ძლებელია სასარგებლოც ყოფილიყო.... ჩამომა-
ვლობისათვის მაინც.

ზ. ავალიშვილი

მენშევიქური ნაპოლეონი.

ჩვენს დამლუპველ ომზედ და საზოგადოთ მენ-
შევიკურ მთავრობის პოლიტიკაზედ ბევრი და-
იწერა ემიგრაციაში. ახალი და ისეთი, რაც დღე-
ვანდელი ქართველი კაცის გუნებას და შეხედუ-
ლობას არ შეეფერება, ამ კრიტიკაში არაფერია.
სულ უკანასკნელმა ქართველმა კაცმაც იცის ან
მიხვედრილი მაინც არის, რომ ჩვენი სამხედრო
მარცხის მთავარი მიზეზი მენშევიკური მთავრო-
ბის სამხედრო პოლიტიკა იყო. ეს ძველი ამბა-
ვია. ახალი იქნებ მხოლოდ ის არის, რომ იმ
დროს, როცა ამ ბრალს მენშევიკურ მთავრობას
უმთავრესად ჩვენი ტონილი და ...
ანი სამხედრო პირები სდებენ, ჩვენი გა-
მტკუნებული მენშევიკური მთავრობის დასაცა-
ვად მხოლოდ უვიცი და ბრიუვი ხალხი გამოდის.

ეს კი მართლა ახალი და მეტად სასიხარულო
აშშავია. მთავრობას, რომელსაც ერთხელ მოე-
ლი ჯარი და სამხედრო შტაბი ჰყავდა, დღეს
ერთი მცოდნე მხედარი აღარ შერჩა, რომ იმისი
უკულმართი პოლიტიკა დაიცვას. ჩუმად არ
გენ. ზაქარიაძეც კი და მთავრობას მხოლოდ სა-
კუთარი მენშევიკური ნაპოლეონები იცავენ.

მერე, ვინ არიან ეს მენშევიკური ნაპოლეო-
ნები?

პირველი მენშევიკური ნაპოლეონია — ბ.
ურატაძე!

ბ. ურატაძე ძველი გათხუპნული მენშევიკუ-
რი სამელნეა. ამ ჭურჭლიდან ბევრი ტალახი და
სიცრუე დაღვრილა. ბ. ურატაძე პუბლიცისტი
ვერაფერი შვილია. მისი სამწერლო ავლა - დი-

დება მოკლეა: „კაუცკმა სთქვა“, „ტროცკმა
სთქვა“, „გორკმა სთქვა“! ბ. ურატაძე — სტრა-
ტეგი კიდევ უფრო ნაკლებია. მაგრამ თავისი
მენშევიკური ხელობა ჩინებულად იცის. თუ მე-
ნშევიკები, მაგალითად, დაადგენენ, რომ განსვე-
ნებული გენ. ოდიშელიძე — „მოლალატეა“, ბ.
ურატაძე ის გაბედული მენშევიკია, რომელიც
ამ უსირცხვილო ამბავს წარბ - შეუხრელად იტ-
ყვის. ბ. ურატაძე ამისი ნაპოლეონია!

უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში ქარ-
თველი ხალხი ფიქრობდა და დღესაც ფიქრობს,
რომ იმისი სამხედრო ავტორიტეტები გენ. ოდი-
შელიძე, გენ. კვინიტაძე და სხვა ქართველი გე-
ნერლები იყვნენ და მაშასადამე, მნიშვნელობა
ქართველი საზოგადოებისათვის მათ ნაწერსა და
ნააზრს უნდა ჰქონდეს. მაგრამ თუ კი იმავე მენ-
შევიკებმა დაადგინეს, რომ ჩვენი სამხედრო ავ-
ტორიტეტები მართლა ჩვენი გენერლები კი არ
არიან, არამედ ბ. კვიტაიშვილია! — ამ საქმის
გამკეთებელიც იგივე ბ. ურატაძე იქნება. ბ. ურა-
ტაძე წავა, ბ. კვიტაიშვილს გენერლების საწი-
ნააღმდეგოდ დიდ სამხედრო „გამოკვლევას“ და-
აწერინებს და ვახტანგ გორგასლანის, თორნიკე
ერისთავის, დავით აალმაშენებელის, გიორგი სა-
აკაძის, ერეკლე მეფის, პეტრე ბაგრატიონის და
კიდევ სხვა დიდ სარდლების ქვეყნის შვილებმა,
ბ. კვიტაიშვილის ეს სამხედრო იწილო - ბიწილო
უნდა ვიკითხოთ, უნდა ვიკითხოთ ბ. კვიტაიშვი-
ლის ეს ყოვლად აუტანელი ქართული ენა და
ისედაც უგემური ემიგრანტული სიცოცხლე კი-

დევ უფრო გავიუგემუროთ...

ამ რიგად მეორე მენშევიკური ნაპოლეონი ბ. კვიტაიშვილია.

მესამე მენშევიკური ნაპოლეონი, როგორც მკითხველიც მიხვდება, ბ. ცაგურია არის!

ბ. ცაგურიამ, ამას წინად, ერთი მოზრდილი ფრანგული ბროშურა გამომიგზავნა, რა თქმა უნდა, მისგანვე დაწერილი, რომელსაც ყდაზედ ავტორის ასეთი სახელი აქვს:

„კოლონელ დე სურამი. საქართველოს აჯანყების სერდარი“.

გვარი და ტიტული — თუ გნებავთ — ასეთი უნდა! გასაოცარი მხოლოდ ის არის, რომ ბ. კოლონელი დე სურამი — ცაგურია თავის თავს

მენშევიკურ საქართველოს იმპერატორსაც არ ეძახის!

როგორც „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ ყოფილმა წევრმა და აჯანყების ზოგი საქმეების მცოდნემ, საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო, რომ ბ. კოლონელი დე სურამი — ცაგურიას მართლა უნდა მიეღო მონაწილეობა: აჯანყებაში, როგორც მენშევიკების კაცს და ვ. ჯულელის მოადგილეს, ამ უკანასკნელის დაპატიმრების შემდეგ, მაგრამ მან ვერა თუ მინდობილი ამოცანა ვერ შეასრულა, ისიც კი ვერ შესძლო, რომ დანიშნულ ადგილზედ მისულიყო.

ბ. კოლონელი დე სურამი — ცაგურია საქართველოს აჯანყების ასეთი „სერდარი“ ბრძანდება!

მაგრამ ამ „სერდარს“ არ ეთაკილება, რომ განსვენებულ გენ. ოდიშელიძეს, ბ. ურატაძის წაბაძეით, „შოლალატე“ უწოდოს, ხოლო გენ. კვინიძაძე ისე მოიხსენიოს, თითქოს ამ „კოლონელს“ და „სერდარს“, სამხედრო ზრდილობა ქუჩის ლაწირაკებში ესწავლოს.

ჩვენი სამხედრო ავტორიტეტების წინააღმდეგ აი ასეთი მენშევიკური ნაპოლეონები გამოდიან.

ეხლა, ჯერია ვკითხოთ მათ, ვის სასიამოვნო-დაც ჩვენი ყოფილი მთავარ - სარდლების წინააღმდეგ ასეთი კამპანია სწარმოებს: ვისფრის არის

საჭირო ეს გრაფომანია, ვისი გამართლება და გამტყუნება, ვისი გათეთრება და გაშავება შეუძლიათ თუნდა ბ. კვიტაიშვილის წერილებს, „ბრძოლის ხმაში“ დაბეჭდილს, რომლებიც უკვე ტყუილით იწყება და უსათუოდ ტყუილითვე უნდა დამთავრდეს, თუკი ბ. კვიტაიშვილმა დროზედ მოწყალება მოიღო და, როგორც იქნება, საბოლოვოდ ამოიცოხნა თავისი „გამოკვლევა“ და „ფონ - კიულების“ და „გოლოვინების“ ციტატები, ეტყობა. მისი სამხედრო ცოდნის ეს ღიღა განძი!?

განა, ვინც ბ. კვიტაიშვილის წერილებს წაუკითხავს, ის მაშინვე არ გაითვიტრებს, რომ ეს არის „სამხედრო კორესპონდენტის“ წერილები და არა „გამოკვლევა“, ისიც, ღმერთმა უწყის, რა სიმართლით დაწერილი, რომელშიაც მოთხრობილია თვით ბ. მაიორ კვიტაიშვილის და იმისი ბატალიონის ბრძოლის ამბავი!

ან სად გაგონილა და რას ემსგავსებოდა, რომ რომელიმე ომის ისტორია თვით მაორებს, როტის უფროსებს, უნტერ - ოფიცირებს და ბოლოს ჯარის - კაცებსაც ეწერათ? განა ომის ისტორია ასე იწერება? აი სად გაჰყო თავი ბ. კვიტაიშვილმა, აი რა არის მთავარი, თორემ იმისი ერთად ერთი დებულება: ომი იმიტომ წავაგეთ, რომ გენ. კვინიტაძე გენ. ოდიშელიძეს შეგირდი იყო, გენერალი ოდიშელიძე კი გენ. კუროპატკინისა და ამას კი „დახევა“ უყვარდაო, ოფიცირისათვის შეუფერებელი მასლაათია და სხვა არაფერი.

ვიცი, „ბრძოლის ხმის“ ნაპოლეონები იტყვიან — მაიორი კვიტაიშვილი ნაწილის უმფროსი ოფიცირია და უფლება აქვს სამხედრო საკითხებზედ თავისი შეხედულება იქონიოს; მაგრამ სამხედრო საკითხებზედ კამათს და მეტადრე სამხედრო პირთა შორის კამათს საერთო არაფერი უნდა ჰქონდეს ჩვეულებრივ საგაზეთო კამათთან, მით უმეტეს მენშევიკების კამათთან ჩვენ გენერლებთან და ბ. კვიტაიშვილს, თუ ის მენშევიკი არ არის, სწორედ ამ კამათში არ უნდა მიეღო მონაწილეობა.



არის სხვა მოსაზრებაც.

ბ. კვიტაიშვილს, როგორც ოფიცერს, უპირატესობა აქვს ბ. ურატაძესთან, რომელიც სამხედრო საკითხებში სრული უვიცია. მაგრამ რა უპირატესობა ან, თუ გნებავთ, თანასწორი კომპეტენცია უნდა ჰქონდეს ნაწილის უმფროსს მთელის გამგესთან, როგორ შეიძლება ჩვენი უკანასკნელი ომის მთელი სურათის ფორმის ხიდიდან დანახვა, თუ გინდა მაიორი და ბ. კვიტაიშვილიც იყო, როგორ შეიძლება პოლემის დროს ომის ისტორიის წერა, როგორ შეიძლება მარტოოდენ ბოლშევიკების ნაწერებზედ დაყრდნობა და ისიც იმ მოსაზრებით, რომ შენი საკუთარი მთავარ - სარდლების ყოველი აზრი და დებულება გააბათილო — ასეთი ოფიცრობა უცნაურია, ასეთი მაიორობა ნატყუარია, ასეთი ქართველობა გაუგონარია!

გენ. ოდიშელიძის, გენ. კვინიტაძის და სხვა ქართველ გენერლების მიერ გამოთქმულ აზრის ძალა ის არის, რომ იგი სთქვა ხალხმა, რომელსაც ჩვენს სამხედრო ცხოვრებაში უმაღლესი ადგილები ეჭირა და სამხედრო საქმის დიდი ცოდნა და სამხედრო საქმის დიდი გამოცდილება

ჰქონდა. სამხედრო საკითხებზედ მსჯელობის უფლებას ოფიცერს მხოლოდ ეს გარემოება ანიჭებს. სამხედრო ტრიბუნაზედ მხოლოდ სამხედრო ავტორიტეტი უნდა გამოდიოდეს. ეს არის არა მარტო სამხედრო დისკიპლინის, არამედ სამხედრო აზროვნების ანა - ბანაც. მეც ერთი უსწავლელი ოფიცერი ვარ, მეც მომისმინეთ — ეს სამხედრო მსჯელობა და დისკიპლინა აღარ არის. ეს მენშევიკობაა!..

„ბრძოლის ხმას“ ეს არ ესმის, ან ესმის, მაგრამ ბ. კვიტაიშვილისთანა მაიორებს განზრახ აბრიყვებს. მაგრამ ეს არა სმენიათ „ბრძოლის ხმის“ ოფიცრებსაც, სამწუხარო ეს არის. სამწუხარო ის არის, რომ თავის მენშევიკურ კარიერას ბ. კვიტაიშვილები ჩვენს ეროვნულ ტრადიციაზედ აკეთებენ. ქართველ მთავარ - სარდლებს აშავებენ და მენშევიკებს ათეთრებენ.

მაგრამ ეს უკვე დაგვიანებული საქმეა.

„ვერ გათეთრდება ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა“.

შ. ამირეჯიბი

შენდა აზრიბაიჯანში


ჯერ კიდევ შორს არის ს.ს.ს.რ.კ-ში „ტროცკისტების“ ეპოპეის დამთავრება. ამ კომპანიის ხმაურობაში, ბოლშევიკები ახდენენ ძირითად წმენდას, უმთავრესად, ნაციონალურ რესპუბლიკებში, რომ ყველა „კონტრ-რევოლუციონური“ და შერჩენილი ნაციონალური გრძნობები აღმოუფხვრან, იმ ხალხს, რომელიც ჯერ კიდევ ვერ დაიმორჩილეს.

რაც იმათ ჩაიდინეს სომხეთში, ეს უკვე ცნობილია.

ეხლა დადგა რიგი მეორე ახალი „დამოუკიდე-

ბელი“ კავშირის წევრის — აზერბაიჯანისა. ამ უამაღ, იმ „ძველ“, ადგილობრივ ბოლშევიკებიდან აღარავინ აღარ არის ხელისუფლებაში და თუ კიდევ რამდენიმე პირი მოიპოვება, მათ ჯერ-ჯერობით ითმენენ მათი ძველი დამსახურების გამო. მათ მოსკოვი, ამხანაგი ბაგიროვის სახით, უთვალყურებს, მათ ძალიან უმნიშვნელო თანამდებობები უკავიათ და თითონვე ცდილობენ, რომ მათზე ბევრი არ ილაპარაკონ.

თვით აზრებეიჯანის გაბოლშევიკების „უდიდესი მავრი“, ალი გაიდარ კარაევი, დაჩაგრუ-



ლია, დევნილი „ახლების“ მიერ, რომლებიც ეხ-
თა მას ათას ცოდვას სწამებენ: რომ ის როგორც
ჰენშევიკი, უორდანია - რამიშვილის სამსახურში
იყო, სცემდა მენშევიკურ გაზეთს თავის პარტი-
ულ ამხანაგებთან, პეპინოვთან და მაგერამოვთან
ერთად და რომ ის დამსჯელ მოქმედებაში ბოლ-
შევიკების წინააღმდეგ იღებდა მონაწილეობას
და სხვა და სხვა.

მირზა დავუდ გუსეინოვის, ამ მეორე „მავ-
რის“, რომელიც როდესლაც თურქესტანში იყო
გადასახლებული, ავან - ჩავანი არავინ არ იცის,
ისე როგორც ილდირიმზე და ბუნიატ - ზადეზე.

გამიღ სულთანოვი სადღაც რაღაც კომუნა-
ლურ მეურნეობაშია. იმავე მდგომარეობაშია —
მუსტაფა კულიევი.

ამ „ძველებს“ მარტო ჩაგვრა არ აკმარეს და
ეხლა გულმოდგინეთ, სასტიკად მოჰკიდეს ხელი.
ერთი ამ უკანასკნელთაგანი, რუხულა ახუნდო-
ვი, ერთ დროს სახლხო განათლების კომისრად
ყოფილი, ეს უვიცი ახალგაზრდა, შემდეგ „კულ-
ტურონტის“ გამგებლად აყვანილი, დღეს პარტი-
იდან გამორიცხულია, როგორც ტროცკის მიმ-
დევარი და „ხალხის მოღალატე“, მოხსნილია
აზკაკის პრეზიდიუმიდან და დატუსაღებულია.
ამ უკანასკნელი დაწესებულების, ასე ვსაჭვათ,
თვალსაჩინო წევრები, რომლებიც „ნაციონა-
ლურ ელფერს“ ატარებენ, რევიზიის შემდეგ
გამორიცხული არიან: მუსა დადაშევი, ჰასან სა-
ფუროვი, სეიფულა იბრაგიმოვი, მიკაილ მანუ-
გაროვი, შირალი ალიევი, იუსუფ ჯაფაროვი,
მახმუდ აგაევი, მირზა მამედ კასუმოვი, მიკაელ
გუსეინოვი, ბალაბეგ გასანბეგოვი, ბეიუკ ალა
შალიბლი, გამიღ იაგუბოვი და მანადე ალიევი.

ყველა ამათ ბრალდებათ თანამდებობრივ —
იდეოლოგიური ხარისხის „შეცდომები“. წმენდა
სწარმოებს აგრეთვე „ნავთის ფრონტზე“-დაც,
აქ საბოტაჟისათვის მთელი რიგი ინჟინრების და
ტექნიკოსებისა დატუსაღებული არიან. იწმინ-
დება „იდეოლოგიური ფრონტი“-ც — აზერბა-

იჯანის მწერალთა კავშირი, საიდანაც გამოიწვია
ცხული არიან: ტაგი შახბაზოვისა, ტალიბლი,
ალი ჩაზი და გამოჩენილი ნიჭიერი პოეტი ახმედ
ჯავადი, როგორც ბეჭვდითი ორგანოებში ნა-
ციონალური პროპაგანდის გამტარებელნი. მი-
კაილ გუსეინოვი, განიფა ზეინალი — გამოჩენი-
ლი ფოლკლორისტი, ალი კერიმოვი, ალი ნაზი-
მი და ბევრი სხვანი, დატუსაღებული არიან „მა-
ვნებლობისათვის“.

იუსუფ ვეზირი, რასულზადეს ყოფილი „ელ-
ჩი“ და მუსავატელი „შემრიგებელი“, საეჭვო
პირთა სიაშია, ისე როგორც სანილი, სულეიმან-
ბეგ ახუნდზადე, გუსეინ ჯავიდი, სეით გუსეი-
ნი, სამნან მუმტავი აზერბაიჯანის ნაციონალური
ლიტერატურის ერთი საუკეთესო მცოდნე, მუ-
სახანლი და სხვ.

ბაქოდან ჩამოსულები აღასტურებენ, რომ პო-
ეტი ახმედ ჯავადი ხელ-ახლად დატუსაღებუ-
ლია — მას არ უნდა აპატიონ ის, რომ რამდე-
ნიმე წლის წინათ მისი მთელი რიგი პატრიოტუ-
ლი ლექსებისა მამედ ემინ რასულზადემ, მისთ-
ვის ჩვეული „მამაშვილური. ტაქტით“ დაბეჭ-
და თავის უურნალში და გაუკეთა რეკლამა, რო-
გორც თავისიანს ე. ი. როგორც მუსავატელს.....
ამ ვაჟბატონის თვითრეკლამა, როგორც წინათ,
ისე ბოლშევიკების შემდეგ აზერბაიჯანს ძვირად
დაუჯდა: მთელი რიგი აზერბაიჯანის გამოჩე-
ნილი - ნიჭიერი ახალგაზრდების მან „თავისად“
გამოაცხადა, მან ბევრი ახალგაზრდა სიცოცხლეს
გამოასალმა. მისი ფუჭი და ტყუილი თვით - რე-
კლამის წყალობით აზერბაიჯანის ახალგაზრდა
ინტელიგენტები სოლოვკაში გადაასახლეს, რო-
მლებზედაც მომავალში დიდი იმედები იყო და-
მყარებული, ბახარლი, ალი უსუფი, მუსეიბი და
ბევრი სხვანი, რომლის ნაწილი დაიღუპა....
და ეს მსხვერპლი შეიწირა მამედ ემინ რასულ
ზადემ მხოლოდ იმისათვის, რომ მას ჰქონდა
საშუალება თავისი თავი და რამდენიმე თავისი
დამქაში ერჩინა.

პოეტ მუშფიქს წინადაღება მიეცა გარდაჭმი-

ლიყო და თავისი ნაციონალური მერყეობა ძირიან - ფესვიანად მოესპო.

კავშირის გამგეობა უკვე გადახალისებულია, გაახლებულია და იქ შეიყვანეს ახალი პირების მთელი რიგი, მთავრობისათვის მისაღები. ყვე-

ლა რაიონულ ორგანიზაციებში დღეს წმინდას აწარამოებენ, ყველა საეჭვო ელემენტებს შესწინან და ახლებით სცვლიან.

კაფკაზიალი

„კავკაზ ალგანაგის“ მეორე ნომრის გეთაური

ხსენებული ალმანაგის გამოცემა დიდ იღეოლოგიურ ბრძოლის მომენტს უერთდება. გამწვავებულ - გააფრთხებულმა ბრძოლამ საერთაშორისო ხასიათი მიიღო. ეს ბრძოლა არსებითად ახალი არ გახლავთ: რუსეთის იმპერიის უშველებელ - თვალმიუწვდომელ სივცეზე ბრძოლა დაიწყო 20 წლის წინათ და დამთავრდა კომუნიზმის გამარჯვებით. ამხედრებულ კომუნიზმის ბრძოლაში იმ დროს იძულებული იყვნენ მონაწილეობა მიეღოთ კავკასიას, თურქესტანს, უკრაინას, ყირიმს და სხვ. ნორჩ სახელმწიფოებს, რომლებმაც დიდი ომის დროს და რევოლუციის პროცესში დამოუკიდებლობა ვამოაციდეს. ეს სახელმწიფოები ებრძოდნენ საბჭოების აგრესიულ გამოსვლებს და თავს იცავდნენ დიდი ბრძოლების და სისხლის ღვრის შემდეგ, საუბედუროდ, ამ ერებს დაადგეს უღელი საბჭოთა ბატონობისა, უღელი გაუგონარი სიმაცრის. ყოფილი რუსეთის იმპერია წითლებმა მაითვისეს, ხელში ჩაიგდეს და ამითი უნდა დაკმაყოფალებულიყვნენ და მთელი ენერგია სანცლმწიფოს სამნეო და კულტურული საქმიანობისათვის უნდა მოეხმარებიათ. მაგრამ მოხდა სულ უცა რამ.


მოსკოვის დოქტრინიორებმა თავისი იდეებით მთელ მსოფლიოზე გაილაშქრეს, ხან იარაღით, ხან პროპაგანდით იბრძვიან. ეს ხდება იმ დროს, როდესაც ოცი წლის საბჭოთა ხელისუფლების საქმიანობამ დაგვანახვა, რომ კომუნიზმი მის რუსულ - ბოლშევიკურ შემეცნებაში ავადმყოფის უბრალო ბოდვა და ფანტაზია არის ქვე-

ყანამ მიღიონობით ადამიანთა მსხვერპლი გაიღო და აუარებელი სიმდიდრე განადგურდა.

ბოლშევიკური რევოლუციის უკიდურესობას ჭირიანი ხალხი ლმობიერად ექცევოდა. ყოველივე ამას რევოლუციის დასაწყის ამბად სთვლიდა იმედოვნებდა, რომ აბობოქრებული ხანის შემდეგ საბჭოები ბოლოს, რუსული ნაციონალური ცხოვრების კალაპოტში ჩადგებოდა. ისინი ამისათვის ზომიერებას და მოთმინებას მოითხოვდნენ იმ იმედით, რომ ბოლშევიკური ევოლუციის ციკლი დამთავრდებოდა. გულახდილად უნდა ითქვას, რომ კომუნიზმისადმი უმაგალითო მოთმინებაა გამოჩენილი.

კომუნიზმის ბევრი მოციქული ლენინთან ერთად დაიხოცა, დანარჩენი „კომუნისტური ახალგაზრდობა“ სცოცხლობს, საუკუნეს ერთ მეოთხედის მანძილზე ის გამელოტდა და დაბერდა, მაგრამ ჭიუაზე მაინც ვერ მოვიდა. კომუნიზმის გამარჯვებას დიდმა ომმა ხელი შეუწყო და მძიმე შედეგები მოგვცა, როგორც ხელშეკრულებანი, რომლებიც იყო გამარჯვებული სახელმწიფოების მიერ ნაკარნახევი.

მაგრამ საერთაშორისო სინამდვილეში, როგორც ამას ადასტურებენ უკანასკნელი წლების მოვლენები, ამ ომის მძიმე შედეგების განკუნების პროცესი იწყება. ამ მოვლენის თვალსაჩინო ნიშნებათ, სხვათა შორის, უნდა ჩაითვალოს, სულის გამარჯვება ისტორიულ მატერიალიზმზე, რომელიც ჩამოაყალიბა კარლ მარქსმა და რომელსაც ლენინი ენერგიულად იცავდა. თე-



ურია, რომლის მიზანი იყო კაცობრიობის არსეობის პრიმიტიულ - მატერიალურ მოთხოვნიულებისათვის ემსახურა, გაკოტრდა და იძულეული გახდა სულისა და მორალის მოთხოვნიულებისათვის სათანადო ადგილი დაეთმო. გერანიაში, იტალიაში და ვენეციაში, სადაც ბოლევიკური პროპაგანდა და მარქსისტული იდეები აძლიერებული იყო, ამ ქვეყნებში სახელმწიფო უფიმის ახალი ფორმები გაჩნდა, სადაც პიროვნების მოთხოვნილებანი თავ - თავისი ქვეყნის კუნომიური და სამეურნეო შესაძლებლობის მიუღვით დაკმაყოფილებულია.

ამრიგად ხელშეკრულებანი, ნაკარნახევი თავის იროზე, სისხლის დაუღვრელად თანდათანობით ჰეასწორეს. ახალი რეჟიმის სტაბილიზაციამ და არალელურად ამასთან ერთად საერთაშორისო აზოგადოების სურვილის გამაგრებამ, მოსკოვის უანატიკოსებში ახალი იერიშები გამოიწვია იმ ჰიზნით, რომ საერთაშორისო ცხოვრების გაჯანრაღებას, მშვიდობიანობას და პროგრესის ნორმალურ პირობებს ხელი შეუშალონ.

კრემლიდან გამოტყორცნილი გამანადგურებელი პროპაგანდა და ინტრიგები ჩინეთის კედლებმა ვერ შეაჩერა და ამერიკასაც მისწვდა.

საბრალო ესპანეთი დღეს ომის ალში იხრუკება, ესეც მათი დამღუპველი პროპაგანდის შედეგია. წითელი სენის საწინააღმდეგოთ, რომელიც მსოფლიოს მშვიდობიანობას ემუქრება, დასაჭირო გახდა საერთაშორისო ზომა და გაჩნდა ისეთი ბლოკი, როგორიცაა გერმანიის, იაპონიის და იტალიის ანტიკომუნისტური კავშირი. უეჭვოა ეს ბლოკი დღე და ღამე გაძლიერდება და საბოლოოდ წითელი ინტერნაციონალიზმის მოძრაობას შეაჩერებს, რომლის მუხრუჭებში გმინავენ უდანაშაულო ერები კავკასიისა, თურქესტანისა და უკრაინისა. ამ ბლოკს დიდი მისია აქვს დაკისრებული, სიმართლის საფუძველზე სიწყნარის და მშვიდობიანობის აღდგენისა. ჩვენ, კავკასიე-

ლებს, კარგად გვესმის, რომ ამ ამოცანის განხორციელება არც ისე აღვილია და შესაძლებელია ამან ახალ სისხლის ბრძოლებთან მიგვიყვანოს, ახალ ომთან. მიუხედავათ ამისა, იმედით უცქერით ჩვენს მომავალს.

ჩვენ, კავკასიელებმა, ჩვენ საკუთარ ძალებს უნდა გადავხედოთ, დიდი ამბების მოლოდინში. ყოველგვარი უთანხმოებანი, რელიგიური და ტომური განსხვავებანი უნდა დავივიწყოთ, შევერთდეთ ერთ პატრიოტულ ლოზუნგზე: კონფედერაციის ბაზაზე სამშობლოს განთავისუფლება და მისი აღდგენა.

სხვა საშუალება, სხვა გზა ჩვენი ხსნისათვის არ არსებობს.

მაშასადამე, ყველანაირი მოვლენა, რომელიც ხელს შეუშლის კავკასიის ნაციონალურ აღდგენას, ყოველგვარი იდეები მარქსიდან წარმოშობილი, როგორც ბოლშევიზმი თუ მენშევიზმი, დამჩლუნებელი განთავისუფლების მისწრაფების და ხალხის ენერგიის, ჩვენი გზიდან უნდა გავგავოთ.

ამ მიმართულებით გამარჯვება სასარგებლოა არა მარტო ჩვენი სამშობლოსათვის, არამედ ჩვენ დიდ სარგებლობას მოუტანთ თურქულ ერებს, რომლებიც უარყოფენ ბოლშევიზმს, დანარჩენ იღმოსავლეთის ერებს და მთელ კაცობრიობას. ვიცავთ რა პროგრამას და იდეოლოგიას, არა ერთხელ უურნალ „კავკაზ“-ის ფურცლებზე გაშუქებულს და გამეორებულს წინა „კავკასიის აღმანახის“ ნომერში, ჩვენ ვცემთ აღნიშნულ კრებულს იმ ჰიზნით, რომ შეძლების და გვარათ კავკასიის სოლიდარობის და კონფედერაციის იდეას დავეხმაროთ. ჩვენთვის ბეღნიერება იქნება, თუ შევძლებთ სარგებლობა მოუტანოთ ამ უდიდეს მისწრაფებას, რომელიც ეძებს კავკასიის ერების კეთილდღეობას, უგამონაკლისოდ მათ შორის.

ა. კანტემირ

პოლონეთი და ს. ს. რ. - ის მიერ დამორჩილებულ ერებს და იმ როლს, რომელიც მათ განთავისუფლებაში პოლონეთმა უნდა ითამაშოს.

ბოლო ხანებში, პოლონურ პრესაში დაიბეჭდა წერილების მთელი რიგი, რომლებიც ეხებიან ს. ს. რ. კ.-ის მიერ დამორჩილებულ ერებს და იმ როლს, რომელიც მათ განთავისუფლებაში პოლონეთმა უნდა ითამაშოს.

ჩვენს წინაშე ორი ასეთი წერილია. ერთი მათგანი ეკუთვნის ბ. თადეუშ რაღვანსკის „კალამს და დაბეჭდილია ვარშავულ უურნალ „ვსხულის“ მე-4-ე ნომერში. სახელად ჰქვიან: „ს. ს. რ.-ის სამხედრო პოტენციალი და „პრომეთეული“ პრობლემა“. — ამ წერილიდან ვტყობილობთ, რომ „პრომეთეული“ იდეოლოგიის დებულებათა თანახმად აღმოსავლეთ ევროპის პოლიტიკურ პრობლემების სრული გადაჭრა გამოიხატება ისეთ განმათავისუფლებელ იდეაში, რომელმაც, პოლონეთის დახმარებით, ჯერ ეს დამორჩილებული ერები უნდა გაანთავისუფლოს სს. ს. რ. კ. -- საგან, შემდეგ, იმავე პოლონეთის აქტიურ მონაწილეობით, უნდა შევქმნას ბალტიურ - შავ-ზღვის და სხვა სახელმწიფოთა ბლოკი“ (1)

მეორე წერილი — „ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ბლოკი“, დაბეჭდილი „პშეგლონდ კატოლიკი“-ში — დაწერილია ბ. ჩერნეცკის მიერ. წერილის ავტორი, სხვათა შორის, სიამოვნებას გამოსთვევაში, რომ ვარშავაში არსებულ „პრომეთეს“ კლუბის თავჯდომარის, პროფ. სმალ - სტოკის, მოწმობით, „პრომეთეული“ ერები გერმანელებს თავის მოკავშირეებად არა სთვლილნენ.

ბ. ჩარნეცკი „პრომეთეულ მოძრაობას“ პოლონეთის დახმარებას პეირდება და ხაზ-გასმით აღნიშნავს, რომ „ამ მოძრაობის შეთაურებმა თავისი ტაქტიკა უნდა შეუთანხმონ პოლონეთის

სახელმწიფო ინტერესების კარნახს... და აკეთონ ყოველივე ის, რაც გაამაგრებს ამ მათვების ყველაზედ უფრო მახლობელ გარანტის პოზიციას“ და კერძოდ ხელი შეუწყონ პოლონურ ინიციატივის საფუძველზე (კურსივი ჩვენია) ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ბლოკის კონსოლიდაციას“...

ჩვენ არ შეუდგებით არც „ბალტიურ - შავ-ზღვისპირულ და სხვა სახელმწიფოთა“, არც „ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის“ სახელმწიფოთა ბლოკის არსებითად განხილვას, თუმცა ეს უკანასკნელი თემა საჭირო - ბოროტოც არის. სწორედ დღეს, როგორც სხვა ამბების დამატება, რაიცა მუსოლინი - შუშნინგის შეხვედრამ წარმოშვა, გაზეთები იტყობინებიან, რომ ვენეციაში ლაპარაკი იყო აგრეთვე ცენტრალურ ევროპის სახელმწიფოთა ბლოკის შექმნაზედ, თუმცა, უნდა ვითიქროთ, არა იმ ვარიანტით, რომელიც ჩვენ პატივცემულ პოლონელ ავტორებს მოეწონებოდათ...

ამიტომ, გასაოცარი არაფერი უნდა იყოს ჩვენთვის, რომ პოლონური საზოგადოებრივი აზრი ასეთის ციებ - ცხელებით მუშაობს ისეთს პოლიტიკურ ფორმულაზედ, რომელიც ოდნავად მაინც აუნაზღაურებს პოლონეთს იმ „არა - ხელსაყრელ გეო - პოლიტიკურ მდგომარეობას ქვეყნისას“, რომელზედაც ბ. რაღვანსკი ლაპარაკობს.

პოლონეთი უცილოდ დიდი სახელმწიფოა. მაგრამ პოლონეთის პოზიცია ისეთ ბუმბერაზების გვერდით, როგორიც მისი დასავლეთის და აღმოსავლეთის მეზობლები არიან და ისეთ პირობებში, როცა არა თუ მოკლებულია ბუნებრივ საზღვრებს, არამედ დემოგრაფიულადაც ცულს პირობებში იმყოფება, ჭეშმარიტად მუდამ რთული და ძნელია.

ასეთი განსაკუთრებულად უვარვისი გვოვრათით უნდა აიხსნას, რა თქმა უნდა, პოლონეთის

1). ამოწერილია თარგმანიდან, რომელსაც იძლევა ვარშავული უურნალი „სეუ. კავკაზი“, ნომერი 32.

მიხრილ-მოხრილი და გაუბედავი პოლიტიკური ხაზი და ის საკმაოდ აღმაცერი ნაბიჯები, რომლითაც აღბეჭდილია მისი ჯერ კიდევ ნორჩი დიპლომატიის ისტორია.

არსებითად, სხვაზედ მეტად, სწორედ პოლონეთია დაინტერესებული იმ ანორმალურ ვითარების გახანგრძლივებაში, რომელიც ომის მერინდელმა ხელშეკრულებებმა შაჰქმნა.

ყოველივა ცვლილება ევროპის რუქაზედ პოლონეთს დიდის ზანზარით ემუქრება.

პოლონეთის საარსებო ინტერესები, რომელიც ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ გუშინ „აღსდგა მკვდრეთით“, მდგომარეობენ იმაში, რომ რაც შეიძლება გრძლად გასჭიმოს ძვირფასი დრო, საკირო მისთვის, რათა შინაგანი კონსოლიდაცია შესძლოს და სამხედრო მომზადება მოასწროს.

საგარეო პოლიტიკაშიაც ვადამდე და *volens nolens* კონსერვატორი უნდა იყოს.

აქედან გამოდის ის აუცილებელი დასკვნაც, რომ საბჭოთა რუსეთში მას უნდა სურდეს არსებულ რეუიმის შენახვა და ტერიტორიალური სტატუს ქვო ჯერ კიდევ მრავალის წლით...

ამიტომ ზერელობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ პოლონეთი, ყოველს შემთხვევაში, ცოტა მეტთუ ცოტა მოკლე მომავალში, მართლა იკისრებდა ინიციატივას, რუსეთის მიერ დამორჩილებული ერები გაანთავისუფლოს.

პოლონეთის პოლიტიკის ასეთ სახეშია გამონასკვული ის ძირითადი წინააღმდეგობა, რომელიც განასხვავებს რუსეთის მიერ დამორჩილებულ ერების და პოლონეთის ინტერესებს.

ერები, რომლებიც თავის განთავისუფლებას ესწრაფვიან, ძალა - უნებურად „რევიზიონისტები“ არიან. მათი რევიზიონიზმი სხვანაირად დინამიური არის. მათ არა სურთ და არც შეუძლიათ იცადონ არც ერთი ზედმეტი საათი და ციებცხელებით ელიან იმ ძერას, რომელსაც და შეიძლება არა უსაბუთოდ, პოლონეთი, იქნება, კიდევაც უფრთხის.

პოლონეთის დიპლომატიამ ოფიციალურად განაცხადა, რომ ევროპაში დაწყებულ იდეოლოგიურ ბრძოლაში, რამაც ჩვენი კონტინენტი ორ მოქიშპე ბანაკად გაჰყო, პოლონეთს სურვილი არა აქვს მონაწილეობა მიიღოს.

მოულოდნელი ასეთ დეკლარაციაში არაფერია. იგი ეთანხმება პოლონეთის თავდაცვის პოლიტიკას.

მაგრამ ვარშავაში უნდა ესმოდეთ, რომ რუსეთის მიერ დამორჩილებულ ერებში, ასეთი პოზიცია განსაკუთრებულ აღფრთოვანებას ვერ გამოიწვევს.

პოლონეთი, რომელიც „ხელს იბანს“ ისეთ დავაში, სადაც ლაპარაკი დამორჩილებულ ერების სიცოცხლესა და სიკვდილს ეხება, ნაკლებადა ჰერც ბ. ბ. რაღვანსკისა და ჩარნეცის ოცნებათა პოლონეთს, რომელიც ამ ერთა თავისუფლების და დამოუკიდებლობის პალადინად გამოდის... უფრო მეტიც, ჩვენ ის რწმენაც კი არა გვაქვს, რომ ავტორიტარულ სახელმწიფოებთან ზოგიერთ იდეურ ნათესაობის მიუხედავად, რომლებმაც კომუნიზმის ე. ი. მოსკოვის წინააღმდეგ ბრძოლის დროშა გაშალეს, ვარშავის პოლიტიკური სიმპატიები, ხვალ, ევროპის, ეგრედწოდებულ, დემოკრატიების ფრონტისაკენ არ გადაიხრება, სადაც, როგორც ცნობილია, კრემლის ჩეკისტებთან ერთად ბარსელონის ანარხისტები და ასტურიელი დინამიტეროსებიც შედიან...

იმ ორ პოტენციალურ საფრთხეში, რომელიც შესაძლებელია პოლონეთს ემუქრებოდეს, ვარშავამ დღეს, შეიძლება, გერმანული საფრთხე უფრო ნამდვილად მიიჩნიოს; რუსული საფრთხის მნიშვნელობა კი უფრო ნაკლებ საშური.

„ეს საფრთხე, — სწერს ბ. რაღვანსკი, — პოლონეთის საზოგადოების მიერ ნაკლებ არის შეფასებული. მუდამ გერმანული საფრთხის გიპნზით შეპყრობილებს, ჩვენ გვავიწყდება, რა საფრთხე აწვება პოლონეთს რუსეთის მხრით.... ვერ ვანგარიშობთ იმას, რომ გერმანიის წინააღ-

მდეგ შეგვიძლია მოვიპოვოთ და ვპოულობთ კი-
დევაც მოკავშირენი..... მაგრამ, სამაგიეროდ,
ძეირად თუ ვიპოვით ისეთ სახელწიფოს, რომე-
ლსაც სურდეს ასეთივე მაგარი მუშტი დაჰკრას
„მთლიან და განუყოფელ რუსეთის“ იდეას....“

პოლონელ პატრიოტის ასეთი აღსარება განსა-
კუთრებით აღსანიშნავია. ჩვენ ამაზედ თვალი
არ უნდა დავხუჭოთ.

X

კავკასიის დამოუკიდებელ პოლიტიკურ ემიგ-
რაციას, რა თქმა უნდა, ესმის, რომ საბჭოთა სა-
ხელმწიფოს დანგრევის ახლო და უცილო მო-
ლოდინში, პოლონეთს სურს, დამორჩილებული
ერების განმათავისუფლებელ ბრძოლას ისეთი
სასურველი ლარი მისცეს, რომ, როგორც ბ. ჩა-
რნეცკი ბრძანებს, მათი პოლიტიკური ხელმძღ-
ვანელები იძულებული გახდნენ „თავისი ტაქტი-
კა შეუთანხმონ პოლონეთის სახელმწიფო ინ-
ტერესების კარნახს“....

ასეთ „შემთანხმებელთა“ როლი, ცხადია, ეგ-
რედ-წოდებულ, „პრომეთეულ ფრონტის“ ლი-
დერებისათვის არის გამზადებული.

ჩვენ შორსა ვართ ბ. ჩარნეცკისთანა მოაზრო-
ვნე პოლონელებს პოლიტიკური ეგოიზმი ვუ-
საყვედუროთ. სალი ნაციონალური ეგოიზმი,
როცა ინტერესები ერთმანეთს ებმიან, არსები-
თად, ის ერთად ერთი დუღაბია, რომელსაც ძალ
უძს სხვა და სხვა გუნების და კულტურის ერები
დააკავშიროს.

ჩვენცა ვფიქრობთ, რომ საბჭოთა ულლისაგან
გადარჩენილი ერები ხალისით შეხვდებოდნენ
პოლონეთის პოლიტიკურ ზრახვებს, თუ როა
პოლონეთი მართლა მათი განთავისუფლებას
ფაქტორი შეიქმნებოდა და მათი ინტერესები გა-
დაებმოდნენ „პოლონეთის სახელმწიფო ინტერე-
სების კარნახს“. მაგრამ, სამწუხაროდ, მაგარი
ის არის, რომ პოლონეთის მთავრობის სანახევ-
რო და ორ-აზროვან პოლიტიკას (რის გამო ჩვენ
მას არ ვძრახავთ, რადგან ვიცით, რომ იგი გამო-


წვეულია განსაკუთრებით ძნელ გეოგრაფიულ
პირობებით), ვერ ძალ უძს დაარწმუნოს დაშო-
უკიდებელი პატრიოტები, რომ პოლონეთს მარ-
თლა შესწევს ნების ყოფა და უნარი, შეასრუ-
ლოს ის ბრწყინვალე როლი, რომელსაც აწერს
მას ამ დამორჩილებულ ერთა ზოგიცოთი პოლო-
ნელი მეგობარი.

ამ მეგობრებმა, ვისდამი ჩვენ მუდამ მაღლი-
ერნი ვიქნებით, უნდა გაიგონ, რომ ჩვენ გატა-
ნჯულ ერებს არც გუნება შესწევთ, არც ხალი-
სი, რათა ჩასწევდნენ იმ ასეთ თუ ისეთ მეტნაკლე-
ბად პრობლემატიურ სახელმწიფო დაჯგუფება-
თა მნიშვნელობას, რომელიც მომავლისათვის
მზადდება და, პირიქით, მათი აშკარა სიმპატიე-
ბი იხრებიან იმათკენ, ვინც ხმა-მალლა და აშკა-
რად ქადაგობს ჯვაროსან ომს მათ დამპყრობ-
ლების წინააღმდეგ, ვისაც სურს და შესძლებს
კიდევაც, მათის აზრით, თუნდა ეგოისტური მი-
ზნებით, მათ დაცვას.

ამიტომ ეს მეგობრები კარგს იზავენ თუ რომ
ნაკლებ შეუდებლენ თავს იაფ ილუზიებს და
ჯეროვანის სკეპტიციზმით მოეპყრობოდნენ ბ.
სმალ - სტოცკის და „პრომეთეს ფრონტის“ სხვა
არშიყების სიტყვებს, რომლებიც, არ ვიცით, რა
საბუთის ძალით ამტკიცებენ, მაგალითად, რომ
„პრომეთეული ერები გერმანელებს თავის მოკა-
ვშირებად არა სთვლიან“.

დიდი გამჭრიახობა არ არის საჭირო, კაცი მი-
ხვდეს, რომ რუსეთის მიერ დამორჩილებული
ერები, ერთი მეორეზედ და მათ შორის ვარშა-
ვულ „პრომეთეს“ კლუბის თავჯდომარის თანა-
მემამულენიც — უკრაინელები — „თავის მო-
კავშირებს“ გერმანელებში, იაპონელებში და
იტალიელებში, უფრო მეტედ ხედავენ, ვიდრე
პოლონელებში.

გასაოცარი აქ არაფერია. თანამედროვე ევრო-
პაში და შორეულ აღმოსავლეთში საბჭოთა სა-
ხელმწიფოს აშკარა მტრებად ეს ქვეყნები გამო-
დიან და არა პოლონეთი....



X

პოლონეთის საზოგადოებრივი აზრი შეცდო-
მაში შეჰყავს ეგრედ - წოდებული „პრომეთეულ
ფრონტის“ მოლვაწეობას.

„კავკაზის“ მკითხველებმა კარგად იციან, თუ
რა აზრისანი ვართ ამ „ფრონტზედ“ და ქართ-
ველ მენშევიკებზედ, რომლებიც „ფრონტის“
კავკასიურ სექტორში ხელმძღვანელ როლს თა-
მაშობენ.

მარქსიზმის წინააღმდეგ დაუშრომელ ბრძო-
ლის დროს, როგორც მის ბოლშევიკურ, ისე მის
მენშევიკურ განსახიერებასთან, სამ წელიწად ნა-
ხევარის განმავლობაში, რაც ჩვენი უურნალი არ-
სებობს, ჩვენ არა ერთხელ გვქონია შემთხვევა,
საბუთებით ხელში გვეჩვენებინა, რომ ქართული
მარქსიზმი, ეს ფარ-წასმული პოლიტიკური რუ-
სოფილობა რევოლუციის წინააღმონდელ კავ-
კასიაში, დღესაც მთავარი მიზეზია იმ გარემოე-
ბის, რომ კავკასიური აქცია ასე სახელ-გატეხი-
ლია იმ ბუმბერაზ საერთაშორისო ძალების თვა-
ლში, რომლებმაც ისტორიულ ხვედრის ძალით
გადამჭრელი როლი უნდა ითამაშონ კავკასიის
მომავალ ბედისწერაში.

განა საჭიროა მოფონოთ ის უგუნური და
უნიკო ლვარძლი, რომელსაც წლიდან წლადაც
და მეორე ინტერნაციონალის კარნახით, „პრო-
მეთეულ ფრონტის“ კავკასიური სექტორის ლი-
დერები ანთხევდნენ თაშისტურ იტალიაზედ, ნა-
ციონალ - სოციალისტურ გერმანიაზედ, ათათუ-
რქის ოსმალეთზედ და კვანტუნის არმიის მთა-
ვარ - სარდლობაზედ, ე. ი. განურჩევლად ყველა
მსოფლიო ძალაზედ, რომლებიც იდეოლოგიუ-
რის მოსაზრებით, თუ საკუთარ სახელმწიფო პო-
ლიტიკის მიზნების გამო, დღეს თუ ახლო მომა-
ვალში, არიან მტრები ჩვენი უსასტიკესი მტრის
— საბჭოთა რუსეთისა?

ყველა ამ ამბავშა, რომელთა ვერც მიჩვიალვა,
ვერც უარისყოფა ქართველ მენშევიკებს ვერ შე-
უძლიანთ, ეტყობა, ვერავითარი შთაბეჭდილება,

ვერ მოახდინეს ვარშავის ზოგიერთ წერტილება,
როგორც ვერ მოახდინა შთაბეჭდილება ვერც
იმ ჩუმმა მოლაპარაკებამ, რომელიც ქართველ
მენშევიკებს 1935 წელს საბჭოთა ემისრებთან
ჰქონდათ, ან იმ არამზადულმა ოინშა, რომელ-
ლიც მათ „კავკასიის კონფედერაციის პაკტის“
დადებაში ჩაიღინეს.

ვარშავაში ჯიუტად სურთ, რომ კავკასიას და
მის წინაშე აღმართულ პოლიტიკურ ამოცანებს,
„პრომეთეს“ ან რაც ერთი და იგივეა, მენშევი-
კურის სათვალეთი უყურებდნენ.

ვარშაველ მოლვაწეებს, რომლებიც „პრომე-
თეს ფრონტს“ მფარველობენ, ეტყობა, ამისათ-
ვის შესაფერი საფუძველი აქვს.

შესაძლებელია აგრეთვე, რომ დამორჩილე-
ბულ ერთა განმათავისუფლებელ ბრძოლის „შე-
სათანხმებლად“ პოლონეთის პოლიტიკის ზრახ-
ვებთან, ვარშავასათვის საჭიროა, რომ ეს მოძრა-
ობანი სხვა საერთაშორისო ძალების განსაკუთ-
რებულ სიმპატიის საგნად არ გახდნენ.

ამ მხრით „ქართველი შარქსისტები“ და მათი
ადერბეიჯანელი და მთიელი ავან - ჩავანები მათ-
თვის, მართლა, მიგნება იქნებოდა... და მართ-
ლაც კავკასიურ ემიგრაციაში, სხვა უფრო შე-
საფერი ხალხის პოვნა, ამნაირი საქმისათვის,
ძნელია...

ყველა ეს ერთად აღებული, „პრომეთეულ
ფრონტის“ მფარველთა თვალში, იქნება კიდე-
ვაც ეგუება პოლონეთის ინტერესებს.

მაგრამ პოლონურ საზოგადოების ფართო
წრეებმა უნდა იცოდნენ, რომ ჩვენ კავკასიის
დამოუკიდებელ პატრიოტებს სურვილი არა
გვაქვს, რომ უცხო სახელმიწოდა რთულ დიპ-
ლომატიურ თამაშში, ჩვენი სამშობლო სახურ-
დაო ფულად ვაჭრიოთ, რომ ასეთი თამაში კავ-
კასიის ინტერესებს არ უდგება.

მაგრამ არა ვვგონია, რომ რუსეთის მიერ და-
მორჩილებულ ერების ამოცანასთან ასე მიღვი-
ნა, კარგად გაგებულ პოლონეთის ინტერესებ-



საც უდგებოდეს, რადგან „პრომეთეულ ფრონტზედ“ ჯოხის მიყუდება, ემყარება მხოლოდ იმ ყალბ შეხედულებას, ვითომც მართლა მისი ხელმძღვანელები იყვნენ თავიანთ ერების ნატ- გრის გამომთქმელნი, ან რომ ესენი იქნებიან ის

მეთაურნი, რომლებიც გადაჭრიან ამ ერების ორიენტაციის საკითხს.

ჩვენ გვეშინიან, რომ აქედან პოლონეთს დიდი გულის გაცრუება მოელის.

ჰაიდარ ბაშმატი

კავკასიის უნივერსიტეტის საძირკველი

სალამს უძლვნი რა ქართულს ენაზედ „კავკა- სიას“ გამოსვლას, ბედნიერი ვარ, რომ მასში მონაწილეობას ვლებულობ და მიხარიან ჩემი წვლილიც ჩავდო კავკასიურ შენობის საძირკ- ველში, რომლის აგებას კავკასიელ პატრიოტე- ბის ერთი მუჭა ხალხი შეუდგა.

შემდეგშიაც, ნომრიდან ნომერში, იმედი მაქვს, თუ ლვთის ნებაც იქნება, ქვა ქვაზედ ვზიდო იმის გაუბათილებელი საბუთი, რასაც დღეს მკითხ- ველი აქ გაეცნობა.

რომის ლვთიური ჩამომავლობის იდეა, რომე- ლმაც საშუალო საუკუნეთა ბოლოში იტალიუ- რი ალორძინება გამოიწვია და მუსოლინის იტა- ლიას დღესაც ჰქვებავს, ენეას ეპოპეაზედ არის აგებული.

ვირგილიუსმა „ენეადას“ ამბავს ავგუსტუსის თხოვნით მიჰყო ხელი, რომელსაც თავი ენეას ჩამომავლად მოჰქონდა, რათა ასეთის ნათესავო- ბით ღმერთებთან, თავის პოლიტიკურ ხელმწი- ფობისათვის და დინასტიურ ინტერესების და- საცავად, უმაღლესი სარწმუნოებრივი სანქციაც ხელთა ჰქონდა.

გალვიძებულმა, ანუ უკეთ, წინაპართა დიდე- ბულ ხვედრით აღფრთოვანებულმა რომაელთა უროვნულმა სიამაყემ კვლავ ითეთქა მე - 20 სა- უკუნეში და ჩვენ კარგადა ვხედავთ, თუ რა ვნახეთ...

X

კავკასიელებმა არ უნდა დავივიწყოთ ვირგი-

ლიუსის სიტყვები, დიდოს პირით ნათქვამი და ენეასადმი მიმართული: „არა, შენ არა ხარ ლმერ- თი - ქალის ძე. შენ კავკასიონის მთების შვილი ხარ“-ო...

მართალია ვირგილიუსი თუ არა — დიდი რამ არ არის და ეს უფრო იტალიელების საქმეა, რომელსაც მხოლოდ იმიტომ ვეხები, რომ რო- გორც „არ არის კომლი უცეცხლოთ“, ისევე შე- უძლებელია, ცხადია, რომ ენეასა და კავკასიას შორის საერთო არაფერი იყოს.

კავკასიის ისტორია დაუსრულებელი ბრძოლა არის იმისი შვილებისა ნაირ ხალხთან, რომელიც მუდამ უამს სცდილობდა პარაზიტულად ჩასთე-- სლებოდა მის მშვენიერ სხეულს.

კავკასიის ისტორია უცხო ერების განუწყვე- ტელი ცდა არის, რათა შეხებოდენ მას, რომ მის შთაგონებას და ენერგიას დაწაფებულებს, თვის გულებიშაც დაენთოთ ის ლვთიური ცეცხლი, რომელიც კავკასიას ჯერ კიდევ პრომეთეს დრო- თაგან უღვივოდა.

ეტყობა, კავაკსიას, იმ საჩენ თვისების გარდა, რომლებიც მე „დოქტრინის ძიებაში“ 1) მაქვს ჩამოთვლილი და რომელთაც არა ერთხელ დაუ- ბრუნდები კიდევ, ჰქონდა აგრეთვე განსაკუთრე- ბული თვისება — ეკეთილშობილებინა ყველა ის, ვინც კი მას უახლოვდებოდა. თვისება იმ ფენომე-

1) იხ. „კავკაზი“, ნომ. 34 და 37.

ნის მინაგვარი, რასაც ქიმიკოსნი „კატალიზ“ უწოდებენ.

განა ამით არ უნდა აიხსნას ის მოზიდულობა ხალხებისა ყველა დროში და ყოველი მხრიდან, რომლებიც მორიგობით დიოდა მისკენ, როგორ უდაბნოს უსმური მაცოცხლებელ და მაგრილობელ ბინულისაკენ? ან იქნება ეს იყო გრძნობა, მახლოდელი იშ გრძნობისა, რასაც „სამშობლოზედ დარდი“ ეწოდება.

X

საქართველოს და მასთან ერთად მთელ კავკასიის ისტორიას, რაკი ისინი რუსული იმპერიის საზღვრებში მოექცნენ, განზრახ რყვნიდნენ: გამოჰქონდათ ისეთი ამბები, რაც რუსეთისათვის საზარალო არ იყო, მდუმარებდნენ ისეთ ამბებზედ, რაც საქართველოს და მთელ კავკასიის ისტორიას მსოფლიოს ისტორიას უკავშირებდა, დასასრულ რყვნიდნენ ისეთ ამბებს, რომელთაც შეეძლოთ კავკასიელებში საკუთარი კანონიერი ისტორიული უფლების პრეტენზიები დაენთო, იმ უფლებისა, რომელიც რუსეთმა თითონ გამოიყენა საკუთარი თავის განსაღიდებლად.

X

კაცობრიობამ ასი წელიწადი ისე იცხოვრა, თითქოს არა მარტო საქართველო, მთელი კავკასიაც მიწის პირიდან აღვილიყოს, უჩინ - მაჩინი გამხდარიყოს, რაკი ამ კაცობრიობასა და კავკასიას შორის რუსის კოლონი ჩადგა.

ეს ასი წელიწადი შეადგენს მე - 19 საუკუნეს, იმ საუკუნეს, რომელშიაც ადამიანის გონების მაქსიმალურმა ღვაწლმა, ცოდნის ყველა დარგში, თავის კულმინაციურ წერტილს მიაღწია. და თუ ტექნიკის პროგრესისათვის სულ ერთი იყო: არსებობდა თუ არა კავკასია, სულ ერთი არ იყო მსოფლიო ისტორიისა და ეტნოგრაფიისათვის ის ათასიანი წლების ისტორია, რომე-

ლიც მას ჰქონდა და რომლის არ ცოდნა მეტი-ერებს სწორე გზით ვერ წაიყვანდა. გრძელებაში ეს ხომ ასეა, რომ არამც თუ იდეალური ტიპი, არამედ ადამიანის ყველა ლირსეული თვისება: გულადობა, კეთილშობილება, სტუმარ - მასპინძლობა, მოვალეობისა და მიცემულ სიტყვისადმი ერთგულება, ქალისადმი მოწიწება, უმფროსისადმი პატივისცემა, სუსტის გამოსარჩევება და დაჩაგრულის ქომაგობა, სიცრუესა და სიყალბესთან ბრძოლა — დასავლეთ ევროპაში კავკასიიდგან იყო შეტანილი. ძველად ესენი იყვნენ არგონავტები და მათი მდევარი კოლხები, მათ შემდეგ ქართველი ბერები, მერე ჯვაროსნები, ამათ შემდეგ მამელუკები ე. ი. ჩერქეზები, ქართველები და სხვა კავკასიელნი, ან მილიონი ჩარქეზ - ქართველთა ქალები, რომელთაც თურქ - მონღოლები თანამედროვე თურქებად აქციეს. ამათ გარდა არსებობდნენ კიდევ ქუმანები, ყაბარები და სხვა კავკასიელნი, რომლებიც მთელ ევროპას მოეფინენ, მას არისტოკრატია მისცეს, მხედრობას (კავალერიას) დასაწყისი გაუჩინეს.

X

არიან ერები, რომელთაც სურთ არა მარტო ამ ამბების მიჩქმალვა, არამედ, საზოგადოთ, ადამიანის ყველა სათნო თვისების ამოგდებაც...

ეხლა, როცა ჩვენ თვალის წინ ერები და სახელმწიფონი თანდათან ორ ბანაკად ნაწილდებიან, ჩვენ, კავკასიელებმაც ჩვენი ადგილი უნდა მოვნახოთ.

მთავარია არა ის, და ეს არც უნდა მოხდეს, რომ ჩვენ პოლიტიკურმა და სარწმუნოებრივმა იდეებმა, ან სოციალურმა და ეკონომიკურმა საკითხებმა დაგვყონ.

მთავარია — ერთი: შევიგნოთ დასასრულ, რომ ერთი ამ ბანაკთაგანი შესდგება პარაზიტ ერებისაგან, რომლებიც არაფერს ზოგავენ, რომ მსოფლიო ხელში იგდონ, რათა მის ნანგრევებზედ რაღაც „ახალი ქვეყანა“ შეჰქმნან; ერთი მსოფლიო სახელმწიფო დააფუძნონ, რომელში-

აც ეს უპიროვნო და გადარჯულებული ხალ-
ხის ხროვანი უნდა შელაგდნენ და მეო-
რე — მათგან, ვისაც თავის მოვალეობად ძვე-
ლი ქვეყნის ამოწყვეტისაგან გადარჩენა მიაჩ-
ნია, წინა თაობათაგან შექმნილ დოკუმენტის და
გარაგის შენახვა.

ჩემი მტკიცების საუკეთესო საბუთად ისპანი-
ის ამბები გამოდგება, რომლებშიაც, ბევრი, კალ-
მხრივად, სხვა მიზეზს ვერა ხედავს, თუ არა „ნე-
დლი მასალისათვის“ ბრძოლას.

X

ეგრედ - წოდებული ისპანიის სამოქალაქო
ომი, მხოლოდ ერთი უკანასკნელი რგოლთაგა-
ნია იმ ამბების, რომლის ერთი პირველ რგოლ-
თაგანი 1924 წლის აჯანყება იყო საქართველო-
ში.

პოსკოვის წინააღმდეგ დაწყებული ბრძოლა
აღმოსავლეთ იბერების ქვეყანაში, დასავლეთ
იბერთა მიერ უნდა დამთვრდეს.

ეს არის პრომეთეს ყივილი თავის ძმა ატლა-
სისადმი, მათი საერთო ბრძოლა მოსკოვის მიერ
განხორციელებულ ბოროტის წინააღმდეგ, საი-
დგანაც ყოველი უბედურება ისე სცვივა კაცო-
ბრიობაზედ, როგორც პანდორას ჭურჭელიდან.

ერთის მხრით ცივილიზაციის მეთაოსნენი იცა-
ვენ მის მარად ლირებულებებს და სათნოებებს,
მეორეს მხრით დამანგრეველნი იკრებენ ძალებს
მოსკოვის მეთაურობით, რომ მაცდურის ნიღაბით
დამალონ ბოროტისა და დუხვირობის სათავე.

X

რუსული იმპერიის დანგრევის შემდეგ 1917
წელს დაიხა ის ფარდა, რომელიც კავკასიას
ჰამომავალნი არიან, რომელთაგან
უკანასკნელი, გეზიოდის მოწმობით, თავის „თე-
ოგონიაში“ ჩვენი ცირცეას შვილიშვილი იყო,
რატომ ჩვენ კვაკასიელებს კი აღარ შეგვიძლიან
ვიამაყოთ იმით, რომ ჩვენ გყვანდნენ ისეთი წი-
ნაპრები, როგორც პრომეთეოსი, აეტები, ცირ-

მანძილმა გასთხარა და გაიბას კავშირი. მე 18
და მე - 20 საუკუნეთა შორის — ხიდის გადე-
ბით სიცრუისა და სიყალბის იმ ფრიალოებზედ,
რომელიც ჯერ რუსები შეკვეთების და მერე მათ-
გან გზა - აბნეულმა უფხო მეცნიერებმა, ან
ამოივსოს ისინი საბუთებითა და ახსნა - განმარ-
ტებებით, თუ რა იყო მიზეზი ასეთი გაუგონარი
დანაშაულისა ისტორიისა და კაცობრიობის წი-
ნაშე.

X

ასეთი გარემოება ჩვენთვის ახალი არ არის.
პირველად არ არის, რომ კავკასიას ჭერბდამენ
და სცარცვამენ და არც რუსები არიან პირველი
უზურპატორები. ძველი წარსულის გამოცდი-
ლება სარგებლით უნდა მოვიხმაროთ და თუ წა-
რსულში ბერძნები, რომაელები, არაბები, ბიზან-
ტიელები და სხვანი დაუსჯელად ასალებდნენ
თავისად იმას, რის მაღლიერნიც კავკასიისა უნ-
და იყვნენ, დადგა წუთი, როცა ამას წინააღმ-
დეგობა უნდა გაუწიოთ და საერთო საუნჯის
დასაცავად გავერთიანდეთ.

X

დრო და მთელი მსოფლიოს მეცნიერნი დღეს
ჩვენთვის მუშაობენ. ჩვენ მხოლოდ დაგვრჩენია,
რომ ხელსაყრელი დრო ვისარგებლოთ. საკმაო
ჩვენს არსებობაზედ ხმა ამოვილოთ და მით უჩ-
ვენოთ ქვეყანას, რომ ისინი, ვინც ჩვენს საუნ-
ჯეს თავისად აცხადებენ, როგორც, ვითომდა,
ჩვენი მემკვიდრენი — აჩქარდნენ. ჩვენ ცოცხ-
ლები ვართ!.. არ მომკვდარვართ! ვარსებობთ!

მართლაც, თუ რომაელებიც კი იმით ამაყო-
ბენ, რომ „კავკასიის მთების შვილის“ ენეას და
რომულუსის ჩამომავალნი არიან, რომელთაგან
უკანასკნელი, გეზიოდის მოწმობით, თავის „თე-
ოგონიაში“ ჩვენი ცირცეას შვილიშვილი იყო,
რატომ ჩვენ კვაკასიელებს კი აღარ შეგვიძლიან
ვიამაყოთ იმით, რომ ჩვენ გყვანდნენ ისეთი წი-
ნაპრები, როგორც პრომეთეოსი, აეტები, ცირ-

ცეა, პასიფეა, მედია და სხვ. ან რაღა რუსებმა უხდა იამაყონ ჩვენ მაგივრად?

X

ჩვენ შეგვიძლიან და კიდევაც უნდა ვამაყობდეთ, მით უმეტეს, რომ სალმრთო წერილიც, ბერძნული მითოლოგიაც და „წიგნი მკვდართა“ ჩვენ სა სარგებლოდ ღალადებენ. გათხრანი, რომელიც შლიმანმა 1860 წ. დაიწყო და რაიცა შემდეგ მეცნიერთა მთელმა პლეადამ განაგრძო, ამ გადმოცემებს სავსებით ამოწმებენ. ამას გარდა სავსებით დადასტურებულია, რომ ბერძნული მითოლოგია მხოლოდ გაპოეტებული ისტორია არის.

თუ ეს ასე არის, მაშინ ჰომიროსი ამბობს, რომ ყოველი არსებულის დასაბამი ოკეანე და მისი შეუდლე თეთისი იყო და რომ ყველა ღმერთები მათგან ჩამომავლობენ. ძე, რომელიც უშუალოდ ოკეანეს და თეთისს ეყოლა, მზესა და ფერსეს — აეტ პირველი იყო, კოლხეთის მეფე.

კოლხეთი ისეთივე ბუდე და კერა იყო ელინურის წინა მსოფლიოსი, როგორც შემდეგ ჰელადა ანტიური ქვეყნისა და ეტრურია რომაულ მსოფლიოსი.

მარტოდენ იმიტომ, რომ საბერძნეთი უფრო ახლო იყო ევროპაზედ, მას მიაწერეს ის, რაც ეკუთვნოდა კოლხეთს, ე. ი. კავკასიას, როგორც ეხლა კავკასიური ხელოვნების ნიმუშები ხშირად რუსულად საღდება.

„ხოეს ჰყავდა სამი შვილი: სიმი, ქამი და იაფეტი“. იაფეტის შვილების: თუბალის და მოსონისაგან და მათი შვილიშვილის ქართლოსისაგან წარმოიშვნენ ქართველები და მისი ძმებისაგან

დანარჩენი კავკასიელები: ეგროსისაგან არამეტებული გრელები; ლეკოსისაგან — ლეკები; მოვაკანისაგან — ალბანელები; კავკასოსისაგან — ყაბარ-დოელნი და ჩერქეზები და ასე.

X

ოთხი ათასი წელიწადი და იქნება მეტიც გვაშორებს ჩვენ იმ ამბებს, რომლებიც დიდის ხნით ფანტაზიად ითვლებოდა.

ყველა დროის მეცნიერები მხოლოდ უშლიდენ ხელს ერთმანეთს, სიმართლეს უმაღლავდენ, ამბებს ამახინჯებდნენ, სპობლნენ ერთს და იგონებდნენ სხვა საბუთებს...

ოთხი ათასი წლის განმავლობაში უფრო მეტი დაინგრა, სიძველის ნაშთი, ვიდრე შეინახა. მიუხედავათ ამისა — ქვანი ალალადლნენ. ჭეშმარიტება თანდათან ირკვევა.

X

აი, ის დინამიზმი, რომლითაც უნდა იყოს გამსჭვალული ყოველი კავკასიელი და ყველაზედ უწინ ქართველი.

ის.... და მხოლოდ ის გაგვაერთიანებს და შეგვადულებს მაგარს მონოლიტში, როგორიც არიან თვით კავკასიონის მთები და რომელიც შეგვაძლებინებს არა მარტო განვთავისუფლდეთ რუსთაგან, არამედ სასწაულიც ჩავიდინოთ:

აღვადგინოთ ღმერთების სამყოფი და აღვმართოთ მზის ტახტი არავისაგან და ჯერ ვერას დროში მიუწდომელ მწვერვალებზედ ჩვენის ღვთიურის კავკასიისა.

ვ. ციციშვილი

ემიგრანტის დღიური

„ბრძოლის ხმა“ და „ფრენტე პოპულარი“

„ბრძოლის ხმის“ სამაისო ნომერი განსაკუთრებით სადღესასწაულოა. მეტი რომ არა უსთქვათ, ყოველ საგაზეთო სვეტზედ „ფრენტე პოპულარის“ თითო ჩირალდანი მაინც ანთია.

პირველი ორი და მთავარი ჩირალდანი „მეორე ინტერნაციონალის“ და „სინდიკატების საერთაშორისო ფედერაციის“ სამაისო მოწოდებაა, მიმართული „მთელი ქვეყნის მუშებისადმი“.

„ამ საზეიმო დღისათვის“, ვკითხულობთ მეორე ინტერნაციონალის მოწოდებაში — „სოციალისტური ინტერნაციონალის აზრები და იმედები მიპყრობილია ისპანეთის მუშების და რესტუბლიკელების გმირულ ბრძოლისაკენ.

„როცა ერთი ერი იბრძვის თავის ეკონომიურ და პოლიტიკურ განთავისუფლებისათვის, მისი საქმე ყველა ერთა საქმედ ხდება, მისი გამარჯვება თუ დამარცხება სხვების ბედზედაც დიდ გავლენას ახდენს. ეს ჭეშმარიტება, რომელსაც სოც. ინტერნაციონალი მუდამ მოგვაგონებდა, არასოდეს არ ყოფილა ისე ნათელი, როგორც ის დღეს არის: გაერთიანებულ ფაშისტთა უხეში ინტერვენცია, რომელიც აშკარა თავდასხმად გადაიქცა და ლამის არის ისპანიის გენერლების, აჯანყება საერთაშორისო ომად აქციოს, ნათელყოფს დემოკრატიის და ფაშიზმის შორის ბრძოლის საერთაშორისო ზასიათს.“

ამის შემდეგ მოწოდება მოგვითხრობს თუ რა განსხვავებაა „რეაქციონურ ნაციონალიზმის ვიწრო შეხედულებასა“ და „მუშათა კლასის“ ანუ მარქსისტების, კომუნისტების, ანარქისტების, დინამიტეროსების და სინდიკალისტების „იდეოლოგიას“ შორის, რომლებიც დღეს ყველან ერთად ადგენენ „ფრენტე პოპულარს“ და ყველა ინტერნაციონალს, ამათ ფაშიზმთან საბრძოლველად მოუწოდებს:

„ინტერნაციონალი მიმართავს ისპანიის მუშებს და იქ მებრძოლ უცხოელ მოხალისეთ, უცხადებს მათ ძმურ სოლიდარობას და ალტაცებას გამოსთქვამს მათი გმირული ბრძოლის წინაშე, ყველა ქვეყნის მუშებს კი საერთოდ მოაგონებს რომ ისპანიაში წყდება მათი თავისუფლების ბედიც. ამ ბრძოლის შედეგიდგან (ალბათ — შედეგზედ!) ბევრად არის დამოკიდებული მსოფლიო დემოკრატიის დასუსტება თუ მისი წინსვლა და გამაგრება და მოუწოდებს მათ აღმოუჩინოს მებრძოლთ პოლიტიკური, მორალური და მატერიალური დახმარება. გაუმარჯოს თავისუფალ ისპანიას! გაუმარჯოს საერთაშორისო სოციალიზმს!“.

ასეთია მეორე ინტერნაციონალის მოწოდება, რომელსაც „ბრძოლის ხმა“ პირველ გვერდზედ ათავსებს, და რომელსაც გაზეთი, რა თქმა უნდა, სულით და გულით თანაუგრძნობს. მაგრამ როგორ ათავსებს ერთმანეთში მენშევიკური გაზეთი ერთის მხრით ვითომდა თავის „ბრძოლას“ ბოლშევიკებთან საქართველოში და მეორეს მხრით იმავე ბოლშევიკებისადმი თანაგრძნობას ისპანიაში — ეს არის სწორედ ის მორევი, რომელშიაც ქართველი მენშევიკები ყოველ დღე ილრჩიბიან და რომელსაც ჩვენ მუდამ აღვნიშნავთ.

ყველამ იცის, რომ ისპანიის ერის მომავლისათვის, მის განთავისუფლებისათვის და მის მომავალ ალორძინებისათვის გენერალი ფრანკო იბრძვის. და სწორედ რუსის ბოლშევიკები არიან რომლებიც ისპანიის „ფრენტე პოპულარს“ მეთაურობენ, ისპანიას არხოებენ, ისპანელ მამულიშვილებს ხოცავენ და ისპანიას ლუპავენ. სულ რამდენიმე დღის წინად სწერდნენ გაზეთები, რომ გენ. მოლას ჯარმა სწორედ იმ დროს და-



ტყვევა ბოლშევიკურ წითელ არმიის ჯარისკაცები, როდესაც ისინი ბასკების ერთ სოფელს ცეცხლს უკიდებდნენ, რათა მერე მსოფლიოში განგაში აეტეხათ, რომ ისპანიას გენ. ფრანკო ათხრებსო. ასე იქცევა მესამე ინტერნაციონალი ისპანიაში და ამას ეძახის მეორე ინტერნაციონალი და „ბრძოლის ხმა“ სოციალისტ მოხალისეთა „გმირულ ბრძოლას“ ისპანიის ერისათვის.

მაგრამ ეს ბუნებრივია. მენშევიკი - მარქსისტი იქ უნდა იყოს, სადაც ბოლშევიკი - მარქსისტია. ეს ასე უნდა იყოს, რადგანაც როგორც მეორე ინტერნაციონალის მოწოდებაც ამბობს, დღეს ქვეყანა ორად გაიყო: ერთს მხარეზედა დგანან კულტურისა და ეროვნების დამცველი ძალები, მეორე მხარეზედ — მეორე, მესამე და მეოთხე ინტერნაციონალი, რომლებიც კაცობრიობას და ცივილიზაციას განადგურებით ემუქრებიან. ამათი მაჩანჩალა მენშევიკების ბედიც ის არის, რომ იმდენი ირბინონ ამ ინტერნაციონალებს შორის, ვიდრე რომელსამეს ქუსლზედ არ აეკვრიან. სხვა გზა და გამოსავალი მათ არა აქვთ. საქართველო ღვთისმშობლის წილხდომილი ქვეყანაა.

ჯართ. მენშევიკები ბაღმა დოლორეს პასიონარიას არგუნა!... დიდი ხანია რაც პოეტმა გიორგი ქუჩიშვილმა იქ, საქართველოში, ლექსი დასწერა, რომელიც იწყება:

„სჭექს იბარჩური!...“

იბარჩური — დოლორეს პასიონარია ბრძანდება. გ. ქუჩიშვილიც მათი ყოფილი პოეტია....

ფ. მახარაძე თუ ნ. უორდანია

არც ერთი, არც მეორეო, იტყვის, ვიცი, გულმოსული მკითხველი, მაგრამ მართალი არ იქნება. თუ რატომ არ იქნება მკითხველი მართალი, ამის განმარტება ბ. ურატაძე — ოქროს დიელს (ოქროს საათი!) უნდა ვკითხოთ.

ბ. ურატაძე — ოქროს დიელმა „ბრძოლის ხმაში“ წერილების ბეჭდვა დაიწყო, რომლებშიაც

ამტკიცებს, რომ პირველი კაცი, რომელმაც შეართველოში მარქსიზმი იქადაგა, ყოფილა და არის ბ. ნ. უორდანია და არა ბ. ფ. მახარაძე! ბ. ურატაძე — ოქროს დიელის ეს ამიერიდგან შესანიშნავი ინტერვენცია იმიტომ გახდა აუცილებელი, რომ ბ. ფ. მახარაძე პირიქით ამტკიცებს, რომ მარქსიზმის პირველი ქადაგება საქართველოში დაუწყვია მას, ფ. მახარაძეს და არა ბ. უორდანიას.

კარგია, თქენმა მზემ! მარქსიზმა საქართველო ამოაგდო, მაზრქსიზმა საქართველო დაიპყრა და მისი დამოუკიდებლობა მოსპო, მარქსიზმმა ქართველობა ულიტა და ქვეყანა აიკლო და არის ორი ისეთი მოხუცი ქართველი მარქსისტი, რომელსაც ეს არ ეთაკილება და პირიქით, ერთმანეთსაც კი ეცილება, რომ ეს სასახელო საქმე არა მე ვიქადაგე პირველად საქართველოში, არა მეო!

ფ. მახარაძე ჩვენ ემიგრანტულ წრეს არ ეკუთვნის და, როგორც ჩვენი სწორ - უპოვარი ბ. ურატაძე — ოქროს დიელი იტყოდა, ის „ბარიკადის გადაღმა“ სდგას. ის სწორედ ბ. უორდანიას კბილის კაცია. თუ პირველმა არა, მეორემ მაინც დაიწყო საქართველოში მარქსიზმის ქადაგება, მან მოიყვანა რუს მარქსისტების ჯარი საქართველოში და ბ. უორდანია საზღვარ - გარეთ გამოაქცია. უპრიანიც მისია, ამტკიცოს დღეს, რომ მართლა პირველი მარქსისტი, ან, ყოველ შემთხვევაში, გამარჯვებული მარქსისტი მაინც არის. გამარჯვებული მარქსისტია, რადგან დღეს იქ მარქსიზმი სავსებით არის განხორციელებული. რა დიდი უკანონობა არის, რომ გამარჯვებულმა მარქსისტმა პირველობა დამარცხებულ მარქსისტს არ დაუთმოს.

ყოველი ჭკვიანი კაცი (და არა მარქსისტი!) რა თქმა უნდა ეტყოდა ასეთ ფ. მახარაძეს: — დიახ, სამხანაგო ფილიპე, პირველი მარქსისტი საქართველოში შენა ხარ, შენ იქადაგე იგი პირველად, შენ წაჰავიდე ქართველი კაცი ქართველ კაცს, შენ დაფუშე ჩვენი ერთობა, შენმა ქადა-

გებამ მოჰკლა ილია ჭავჭავაძე, შენ იძახდი, რომ ქართველი მუშა და რუსის მუშა ძმები არიან და ისინი ხელი - ხელ ჩაკიდებული უნდა ებრძოდნენ ქართველ თავადს, აზნაურს, მღვდელს, ვაჟარს, განათლებულ კაცს, ქართველ პატრიოტს; შენ აყვირებდი გზა - აბნეულ ქართველებს (მე- რე ესენი ყველანი საქართველოს მინისტრები გახდნ!) ძირს საქართველოს ავტონომია, ძირს საქართველოს დამოუკიდებლობა, გაუმარჯოს რუსეთის დემოკრატიას, გაუმარჯოს ინტერნა- ციონალს, გაუმარჯოს სოციალიზმს! შენ მოიყ- ვანე რუს მარქსისტების ჯარი და საქართველო- დაიპყარი, მისი დამოუკიდებლობა მოსპე, ქარ- თველობა ულიტე, ზოგი საპატიმროში ჩაყარე, ზოგი გადაასახლე, ზოგი გაგვაგდე, მარქსიზმი ეს არის, მარქსიზმი სწორედ ეს არის, მარქსიზმი მხოლოდ ეს არის! ეს შენი საქმეა, ეს სწორედ შენი საქმეა, ეს მხოლოდ შენი საქმეა და ანასუ- ნი შენ საქმეს, იყავ პირველი მარქსისტი ამიე- რიდან უკუნისამდეო!

ვამბობთ, ასე იტყოდა თუ ყოველი ჭკვიანი კაცი არა, ჭკვიანი ემიგრანტი მაინც. მაგრამ ჭკვიანი ემიგრანტი ერთია და ემიგრანტი მარქ- სისტი — სხვა ბ. ურატაძე — ოქროს დიელიც ასეთი ემიგრატი მარქსისტია. განსხვავება ფ. მახარაძის და ბ. ურატაძე — ოქროს დიელის შორის არაფერია. როგორ არ არისო, იტყვის გაოცებული მკითხველი; ბ. ურატაძე — ოქროს დიელი მახარაძემ საქართველოდან გამოდევნა, სამშობლო „წართვა“, ემიგრანტი გახადაო, მა-

გრამ ესეც არაფერია! სტალინმა სულ გადახურილა ზინოვიევი, კამენევი და მრავალი სხვა, მაგრამ განა ისინი მარქსისტები აღარ არიან? რა თქმა უნდა, ისინი დახვრეტილებიც მარქსისტები არიან!

და აი, ასეთი მსგავსებაა ბ. ნ. უორდანიასა და ბ. მახარაძის შორისაც. ბ. უორდანია მახარაძემ გამოდევნა საქართველოდგან, მაგრამ იგი ისეთი- ვე მარქსისტია, როგორც მახარაძე.

და, აი, ეს გარემოება ბ. ურატაძე — ოქროს დიელმა კარგად იცის. რაკი საკითხი დაისვა, თუ ვინ იყო სულიერი, რომელმაც პირველმა იქა- დაგა საქართველოში მარქსიზმი, ბ. ურატაძე — ოქროს დიელი სწორედ ამისი ისტორიკოს — მე- მატიანეა. მან კარგად იცის, რომ ეს პირველი მარქსისტი საქართველოში ბ. უორდანია არის და ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს!

ჩვენც, ყოველთვის იმას ვამტკიცებდით, რომ ბ. უორდანია, ქართველი ერის ბელადი, მისი ეროვნული მოძრაობისა და ბრძოლის მეთაური კი არ იყო, არ არის და არც იქნება მომავალში, არამედ, კაცი, რომელმაც საქართველოში პირ- ველმა იქადაგა მარქსიზმი, ქართველი ქართველს წაჰავდა და დღესაც აჩხუბებს ემიგრაციაში.

მადლობა ღმერთსა, რომ ბ. ურატაძის ოქროს პირით, ეხლა მაინც გამოტყდნენ ამაში მენშე- ვიკები. ჩვენც ასე ჩავიწერთ...

ფარსმან ფარუნი

თავადი იოსებ დადიანი

(ნეკროლოგი)

პარიზში მიიცვალა თავადი იოსებ დადიანი. წავიდა ჩვენგან აღამიანი, რომელიც იყო იშვიათი სულის კაცი და კეთილშობილი პიროვნება, რომელიც ყველას უყვარდა და რომელსაც ყველა დიდ პატივსა სცემდა. ის იყო აღამიანი, რომლისთვისაც არც დიდ ჩამომავლობას, არც სიმდიდრეს ხელი არ შეუშლია უბრალოსთან თანასწორი და ღარიბთან კეთილი ყოფილიყო. არც საქართველოზედ მოშორებულ ცხოვრებას შეუშლია ხელი, რომ მუდამ მოწინავე ქართველთა რიგში მდგარიყო და ეროვნულ და საზოგადო ინტერესებზედ ეზრუნა. თუ მდიდარი და კეთილი გულის თავად იოსებ დადიანისათვის ყველა ეს თვისება ადვილად გამოსაჩენი იყო, ასეთივე ქართული და კეთილშობილი დარჩა მისი ფიქრი და გულის ცემა, როდესაც თავის სახლობით ემიგრაციაში მოჰყვა და უკვე თვით იმყოფებოდა გასაჭირში.

განსვენებული უკვე ხნიერი იყო და ბოლო წლებში ავადმყოფობდა კიდევაც. მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია იმისთვის, რომ მუდამ იქ ყოფილიყო, სადაც ქართული ფიქრი ენთო და ქართული საქმე კეთდებოდა.

ამ გაძნელებულ ავადმყოფობის მიუხედავად, სიკვდილის სულ რამოდენიმე კვირის წინ ერთ საჯარო კრებას თავჯდომარეობდა. იგივე იყო „კავკასიის შესწავლის კლუბის“ მუდმივი თავჯდომარე და ყველა კავკასიელ ერთა წარმომადგენელების ერთნაირი პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული. მას იცნობდნენ და ენდობოდნენ საზოგადო საქმეში არა მარტო ქართველები, არა-

მედ სომხები, ადერბეიუნელები და მთიელებიც. მისი შეძლება დაკარგული, მაგრამ ძველ ლირსება შერჩენილი სახლი ყველასათვის ლია იყო. იმისმა მეუღლემ, დიდათ პატივცემულმა კნეინა თამარმა, ბევრი ლვაწლი დასდო, რომ „ქართულ ბალების“ და სალამოების მართვით ქართული საქმის პროპაგანდა ეწარმოებინა და ღარიბ ქართულ ემიგრაციის დასახმარებლად ნივთიერი დახმარება მოეგროვებინა. მე მგონია, აქ, ემიგრაციაში, დიდათ სასიამოვნო საქმე განსვენებულისათვის იყო ის, მართლა, ბედნიერი შემთხვევა, რომ „ვაფხის ტყაოსნის“ ძველი, იშვიათი ხელნაწერი, ყირიმის მამულში დარჩენილი, როგორც ბევრი რამ სხვაც, გატაცებული და ბოლოს საზღვარ - გარედ გამოტანილი, მანვე შეისყიდა და საქართველოს არ დაუკარგა. ეს ეგზემპლიარი შესასწავლად ბრიტანეთის მუზეუმს გადაუგზავნა და ეხლა ჩვენ ვიცით, თუ ამ იშვიათი ეგზემპლიარის ფილიგრანი და მხატვრობა რომელ საუკუნოებს ეკუთვნიან.

ქართული ემიგრაცია დიდის მწუხარებით შეხვდა მის სიკვდილს და იმისი კუბო ყვავილებით და გვირგვინებით შეამკო. ფრიად გულთბილი სიტყვა წარმოსთვეს მის საფლავზედ ქართული კოლონიის თავჯდომარემ, ბ. ვახტანგ ლამბაშიძემ და „ქართველ ინჟინერთა საზოგადოების“ სახელით, რომლის თავჯდომარე განსვენებული იყო, ბ. იოსებ გობეჩიამ.

შ. ამირეჯიბი

შეფიცულ სერგო გაისურაძის ხსოვნას

(ნეკროლოგი)

სერგო მაისურაძე დაიბადა 1899 წ. და იყო სოფელ მერიდან კახეთში. სერგო პარიზის ქართველ ემიგრაციას შემოუერთდა 1924 წ., როდესაც, აჯანყების შემდეგ, თავადი ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი თავისი შეფიცულებით იძულებული იყო საქართველოდან გამოხიზნულიყო. ამ თორმეტი წლის განმავლობაში განსვენებული სერგო ეწეოდა პატიოსან შრომას და ბოლო დროსაც ის მუშაობდა თავის მეგობარ, შეფიცულ ილიკო ქარუმიძესთან ერთად, პროვინციაში. აღდგომა დღისათვის ორივე შეფიცული პარიზში მოდიოდნენ, ქაქუცას საფლავზედ დასასწრებლად, როგორც ეს ტრადიციულად არის შეფიცულთა შორის მიღებული. მაგრამ გზაში მათ ავტომობილს საბედისწერო ხიფათი შეემთხვა, რამაც ქარუმიძე დაშავა და სერგო კი სამუდამოდ შეიწირა.

ამა წლის 5 მაისს რუსების მართლმადიდებელთა ეკლესიაში სერგოს პანაშვიდს დაესწრო მრავალი ქართველობა, რომლებმაც მიუსამძიმრეს მთელ შეფიცულთა კადრს ელიზბარ ვაჩნაძის მეთაურობით.

სერგო დაკრძალულ იქმნა ქ. მნიტში იმავე დღეს. მის დაკრძალვას დაესწრო ასამდე ქალი და კაცი, სპეციალურად პარიზიდან გამგზავრებული. მათ შორის იყვნენ პარიზის ქართული კოლონიის თავჯდომარე ბ. ვახ. ლამბაშიძე, ყოფილი საქართველოს ჯარების მთავარსარდალი გენერალი კვინიტაძე, ქართული ოფისის დირექტორი ბ. ს. ასათიანი და მრავალი სხვა. გრძნობიერი სიტყვები იყო წარმოთქმული ბ-ნ შალვა ამირეჯობის და პოლკოვნიკ ფრ. წულუკიძის მიერ.

როდესაც წითლების ურდოები 1920 წ. 3 მაის საქართველოს მოადგა და წითელი ხილი გადმოლახა, მთავარსარდალი გენერალი კვინიტაძე მთელი სამხედრო სიმკაცრით შეხვდა; ბოლშევიკების

წითელი ჯარი მან უკუაჭცია და რამდენიმე ათეული ვერსის მანძილზე მოაშორა საქართველოს საზღვრებს. განერალ კვინიტაძეს შეეძლო მაშინ მთელი კავკასია გაეწმინდა რუს ბოლშევიკებისაგან, მაგრამ ამ გეგმის განხორციელებას ხელი შეუშალეს... და ამ დღიდან მთელ კავკასიის ერებს ბოლშევიკური მონობის ულალი დაადგეს.

იმ დროს, როდესაც ბოლშევიკები უკვე დაბინავდნენ საქართველოში, როდესაც ქართველ ერს რელიგიას, მორალს ართმევდნენ, ნაციონალურ გრძნობებს გულიდან ჰელეზდნენ და მთელი კავკასია რუსის წითელი ჩექმის ქვეშ ჰემინავდა, ამ დროს კრილობების მკურნალ მაღამოთ ქართველ ერს თავადი ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი მოევლინა თავის შეფიცულებით.

როგორც მე-19 საუკუნის დასაწყისში, საქართველო ეხლაც ვერ შეურიგდა ხელახლათ შემოჭრილ მტერს და იარაღში ჩაჯდა. ქართველი ერის სულის მლელვარებამ, დამპყრობელთან შეურიგებლობამ განსვენებული ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი და მისი რაინდი შეფიცულნი წარმოშვა. პატარა შეფიცულთა რაზმი თავდასხმის დროს რეგულიარულ ბოლშევიკების ჯარებს თავზარს სცემდა. განსვენებული სერგო ყველა შეტაკებებში მეღვრად იბრძოდა და ყველა ამოცანას მასზე დაკისრებულს გმირულად ასრულებდა.

უთანასწორო ძალების დაპირდაპირებამ, საუბედუროდ, მათ სრული გამარჯვება ვერ მიანიჭა, მაგრამ თამამათ შეიძელაბ ითქვას, რომ შეფიცულებმა ქართველ ერს 1921 წლის ისტორიული სირცხვილი მოხსნეს.

ამ რაინდთა რიცხვში შედის განსვენებული ს. მაისურაძეც. სამარადისოდ იქნება ხსენება შენი სერგო და მომავალში განთავისუფლებული ქართველი ერი, ყველა რაინდ შეფიცულებს, რომლე-

ბიც დაიღუპნენ იქ, საქართველოში და გადმოხ-
ვეიწლობის სიღუხჭირეში, ბარბაროსებთან ბრძო-
ლაში მაღლობის ძეგლს დაგიდგამთ.

ეროვნულ გმირმა თავად ქაიხოსრომ, შენ და
ჟველა შეფიცულებმა, დახოცილმა სამშობლოსა-

თვის, იცოდეთ, რომ, მებრძოლნი, საქართველოს
ტერიტორიის ერთ გოჯს არავის არ დაუთმობენ
და სამშობლოს განთავისუფლებისათვის თქვენ
მიერ დაწყებულ ბრძოლას გააძლიერებენ.

ი. გვარამაძე

ძრონიკა

26 მაისი

ტრადიციული ოცდაექვსი მაისი წელს „გუვო-
ნის“ დარბაზში გაიმართა. ოფიციალურად ამ
დღეს ვითომ ქართული კოლონიის თავჯდომარე
მართავს, მაგრამ ზურგს უკან მუდამ ეგრედ წო-
დებული „ეროვნული ფრონტი“ ფუსფუსებს და
თვით დღესასწაულზედ მისი ხალხი ედება ფე-
ხებში დამსწრე საზოგადოებას. ვერ ითქმის, რომ
მათი დალვრემილი და დალონებული სახეები ჩვენ
ეროვნულ დღეს რაიმე ალფროვანებას და იმედის
იერს ჰატებდნენ. არ ცის ითქმის, რომ ეს — ეროვ-
ნული „ცენტრი“ ნივთიერად მაინც ეხმარებოდეს
კოლონიას, რომ დღე რითიმე იყოს ხოლმე დამ-
სწრე საზოგადოებისათვის საყურადღებო, თუმცა
უცხო სტუმთებს დაუინებით იწვევენ. ეს დღეც
იმიტომ გამოდის ზედიზედ ასე უფერული.

მიუხედავად ამისა წლევანდელი 26 მაისი ერ-
თი რამით მაინც იყო შესანიშნავი. ეს იყო თვით
კოლონიის თავჯდომარის ბ. ვახტანგ ლამბაშიძის
სიტყვა, ფრანგული სიტყვის შემდეგ, ქართულად
დასპეციალურად ქართველებისათვის ნათქვამი.
ამ სიტყვაში კოლონიის თავჯდომარემ პირუთვ-
ნელად აღნიშნა, რომ ოცდაექვსი მაისი, რომე-
ლიც არის საქართველოს დამოუკიდებლობის გა-
მოცხადების დღე, ამასთანავე უნდა იყოს ქართ-
ველების გაერთიანების სიმბოლოც და ეს გაერ-
თიანება კი ემიგრაციაში არ არსებობს და ემიგ-
რაციის „მეთაურობამ“ ეს გაერთიანება ვერ შე-
ჰქმნაო.

სრული ჰეშმარიტებაა, რა ეროვნული გაერთი-
ანება უნდა შექმნას ისეთმა „ეროვნულმა ცენტრ-
მა“, რომელშიაც შემავალი პარტიები „ფრენტე
პოპულარის“ იდეებს ქადაგობენ. ჩვენ მაინც იმით
გავათავებთ ამ დღის აწლერილობას, რომ ბუფე-
ტში მხიარულება მაინც შესამჩნევი იყო და ბევ-
რმა ქართველმა წაუქცია ღვინოს პირი, რომ სა-
ქართველოს სადღეგრძელო დაელია...

თამარ მეფის დღე

გასულ 30 მაისს, „ქართული კერის“ მეთაურო-
ბით, „სოსიეტე სავანტის“ დარბაზში, პირველად
ქართულ ემიგრაციაში, გამართულ იქმნა თამარ
მეფის დღე.

ბ. შ. ამირეჯიბმა წაიკითხა მოხსენება მიძღვ-
ნილი თამარ მეფის ისტორიულ პიროვნებისადმი. შემდეგ ლექსები წარმოსთქვეს: ქ. ელ. მამულაი-
შვილმა — შოთა რუსთაველის „რომელმან შე-
ქმნა სამყარო“; ქ. ზ. კედიამ — აკაკის „სიზმარი“;
ბ. ს. ბერეჟიანმა — ვაჟა-ფშაველას „მთვარე“ და
საკუთარი ლექსი; ბ. ირ. ზალდასტანიშვილმა —
გრიგოლ ორბელიანის — „თამარის დროშა გაშა-
ლეს“ და ქ. ვალ. კედიამ — გრიგოლ ორბელი-
ანის „შენს წმიდა სახეს, მშვენებით სავსეს“..

ესტრატაზედ გამოდგმული იყო ყვავილებით
შემკული, დედოფლის ფერადოვანი სურათი,
ფრიად კოხტად დახატული ს. ბერეჟიანის მიერ.

„დღემ“ ჩინებულად და ალფროვანებულად
ჩაიარა და დღის დიასახლისს ქ. სოფიო კედიას
ბევრმა დამსწრემ მაღლობა გადაუხადა.

იმედია, რომ ამიერიდგან „თამარ მეფის დღე“

ტრადიციული გახდება ქართულ ემიგრაციაში და ის შემოიკრებს ქართველობას იმ სიამ - ტკბილობის ატმოსფეროში, რომლითაც ეს პირველი დღე იყო აღნიშნული.

ახალი ხელნაწერი შამილის შესახებ

ჩაჩან - ინგუშეთში აღმოჩნდა არაბული ხელნაწერი ასეთის სათაურით: „ბრწყინვალება მთა-თა მახვილებისა“, რომელშიაც შექებულია იმამ შამილის ჰაზავატები. ხელნაწერის ავტორი, მა-ჰომედ შაირ კარახელი, შამილის ერთი თანამოღვაწეთაგანი იყო. ხელნაწერი აგვიწერს კავკასიის ომებს 1832 წლიდან — 1859 წლამდის, შამილის რუსეთში ტყვედ ყოფნას და მის სიკვდილს 1870 წელს.

ხელნაწერი შეიძინა კაპკაის ისტორიულ - ლი-ნგვისტიურმა ინსტიტუტმა და იბეჭდება რუსულ თარგმანში.

„კავკაზ აღმანაგის“ აკრძალვა

ყველა თურქულ გაზეთებში, ცხრა მაისის თა-რიღით, დაბეჭდილია „ანატოლიის ტელეგრაფის საგენტოს“ შემდეგი ცნობა:

„გაყიდვა წიგნისა, რომელიც „კავკაზ აღმანაგის“ სახელს ატარებს და რომელიც გამოცემულია იმ მიზნით, რომ ოსმალეთის რესპუბლიკისა და ს.ს.რ.პ.-ის შორის არსებულ მეგობრულ დამოკიდებულებას ზიანი მიაყენოს, ბეჭდვითი სიტყვის 51 მუხლის მიხედვით მინისტრთა საბჭოს დადგენილებით აღკრძალულია“.

უურნალ „კავკასია“-ს გამოწერა შეიძლება ბ-ნ ი.
როგორ და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგ

გვარამაძისაგან, აგრეთვე უურნალისათვის ბასა-
რითით:

J. Gvaramadzé, 73, rue Froidevaux, Paris (14^o).



"LA CAUCASÉE"